ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№37 (1475) 12-19 აგვისტო, 1996 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ვინ იყო ვინ?**

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

## ბოლო შეკითხვა ვახტანგ გოგუაძეს

გვეშველება რამე თქვენს ხელში?

პასუხი:
ჩვენს ხელში არა, საერთოდ კი!

მე-4 გვ.

## საით მიდის საქართველო ?



## უდანაშაულო მამა! უდანაშაულო შვილი!

## ჩემი ძვირფასი მამიდა

პასუხად თენგიზ კიტოვანს

მე-2 გვ

## «ჯავახკას» სომხური, ანტიქართული, აგრესიული შოვინიზმი და ა.შახატუნიანის «მეცნიერული აღმოჩენები»

მე - 5 გვ

## პატარა უფლისწულის ვნებანი

მე - 6 გვ

# უდანაშაული მამა, უდანაშაული შვილი!

„მე ვცხოვრობ გეგეჭკორის რაიონი სოფ. ქვაითში. ჩამოვედი თბილისში ამ 20 დღის წინ. მინდოდა ჩემი ქალიშვილი ც.კაკულიას სამსახურში მოწყობა. იგი გაგზავნილი იყო აგარაში (განაწილებით! თ.კ.), მაგრამ არ დაიწყო მუშაობა იმის გამო, რომ იქ მუშაობს ჩემი ძმა, რომლის ცოლმა და შვილმა თენგიზმა ჩემს შვილს არ მისცეს მუშაობის ნება იმ მოტივით, რომ ჩემს რძალს არ უნდა, რომ იმუშაოს ჩემს ძმასთან, მან (რძალმა! თ.კ.) სცემა ჩემს ქალიშვილს და გამოაგდო. დღეს ვიყავი ჩემს ძმა ვალოდია კიტოვანთან გუდაურის შესახვევი №14-ში, სადაც დაახლოვებით 8 სთ-ზე შემოვიდა ჩემი მეორე ძმის შვილი, ე.ი. რომლის მამაც მუშაობს აგარაში, თენგიზ კიტოვანი, მოსვლისთანავე მითხრა, რომ რატომ იწყებს შენი შვილი აგარაში მუშაობასო, მე ვუთხარი, რა გინდა შენ, რომ მუშაობა დაიწყოს იქ მეთქი. ამის შემდეგ დამიწყო ჩხუბი და ცემა, მცემა ფეხით, სკამით და რაც მოხვდა. მას მანქანა გარეთ ელოდებოდა და წავიდა. როცა იგი მცემდა, ბინაში იყო ჩემი ქალიშვილი ცისანა, ჩემი რძალი თამარა კიტოვანი, ჩხუბის ხმაზე ხალხი შეგროვდა. მე გული წამივიდა, რის შემდეგ არაფერი მახსოვს და წამიყვანეს საავადმყოფოში. დასმულ კითხვაზე გიპასუხებთ, რომ ჩემი ძმისშვილი თენგიზ კიტოვანი ცხოვრობს ძნელაძის ქუჩაზე №9-ში. სწავლობს სამხატვრო აკადემიაში. ჩემი შვილი აგარაში იყო სამსახურის მისაღებად ამ სამი დღის წინ და თენგიზის დედა გადაელობა, სცემა და გამოუშვა, არ იმუშაო ჩემს ქმართან ერთად. ახლა კი გამოგვიგზავნა თავისი შვილი და მან მცემა. გთხოვთ მისცეთ პასუხისგებაში და აგებინოთ სათანადო პასუხი".

ბატია! ვიცი ახლა ზოგზოგიერთი ვიგინდარა დაიწყებს — ეს რა უქნია ბატიახ, მამიდა—ხანშიშესული ქალი უცემიაო! მე და შენ ხომ ვიცით ბატია, რომ მამიდაშენიც შევარდნაძის მოგზავნილი იყო, პროვოკაცია მოგიწყეს, შენ ჩემ თავმკვდარო, შენ ჩემ თავმკვდარო ბატია! მაგრამ ნუ გეშინიათ ხალხო, დედიკო და მამიკო კარგად უმყოფს ჩვენს ბატიას!

ახლა თქვენ უყურეთ, როგორ შეუუტიოთ მამიდას!

„ორჯონიკიძის სახ.რაიონის სახ.სასამართლოს. მცხ. თბილისში ძნელაძის №9 მარგარიტა ჩახავას განცხადება.

ჩემი შვილი თენგიზი კიტოვანი არის ფსიქიურად დაავადებული, რის გამოც დროზე ადრე იქნა განთავისუფლებული წ/არმიის რიგებიდან. შარშან, თბილისის რაიპროკურატურის მითითებით გაგზავნილ იქნა **ფსიქიატრიულ კლინიკაში,** მშობლების მეთვალყურეობის ქვეშ, **შეურაცხადობის დასადგენად,** სადაც გამოირკვა, რომ შესაძლებელია ჰქონოდა **შეურაცხადობა დანაშაულის ჩადენის დროს.**

დასკვნა იმყოფება მის ყოფილ საქმეში.

„დაზარალებული" (უყურე შენ? ბრჭყალებიც მოიშველია მარგარიტამ! თ.კ.) ცუცა კიტოვანზე წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნა, ნაკლებად მძიმე დაზიანების გამო, არ არის სწორი, რადგან ცხვირის დაზიანება (როგორც „დაზარალებული" ლაპარაკობს) ქონდა ადრე. სადაც მკურნალობდა, შეიძლება ცნობის აღება, სამედიცინო ექსპერტი შეყვანილია შეცდომაში.

ყოველივე ამის გამო გთხოვთ:

1) გამოთხოვილი იქნას ფსიქიატრიული საავადმყოფოს დასკვნა სასამართლო არქივიდან.

2) გადამოწმებული იქნას ცუცა კიტოვანის ნაკლებად მძიმე დაზიანების საექსპერტო დასკვნა.

3) შემოწმებულ იქნას ჩემი შვილის, თენგიზი კიტოვანის ფსიქიური მდგომარეობა, მომხდარი შემთხვევის დროისათვის.

მთხ. მშობელი მ.ჩახავა.

აქვე გიდგენთ ცნობას მისი (ე.ი. ბატიას! თ.კ.) დაავადების შესახებ".

ასე თუ გაგრძელდა, შეიძლება გენერალურ პროკურორთან და პრეზიდენტთანაც ჩხუბი შემექნეს; რას გავს ეს? რას ერჩით ამ ბუღლკივით შეურაცხად ბატიას? არ გაგიგიათ — გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასაო? იქნებ დედის ნათქვამი მოფერებად ალიქვით — ჩემო გიჟუნია ბიჭოო, ა?

## წერილი მესამე
## პასუხად თენგიზ კიტოვანს

**შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ ფარდა უკვე ბოლომდეა ახდილი! არ დაიჯეროთ! ჩვენი — ჩემი და ბატიას თეატრის ფარდა ნელ-ნელა, მძიმედ მიიწევს ზემოთ.**

**შენ ჩემ თავმკვდარო ბატია, დაანებე თავი ფარდას, ნუ ექაჩები დაბლა, როგორც მორცხვი ქალი მოკლე კაბას — რაც გამოსაჩენია, მაინც გამოჩნდება. შენც ხომ ეს გინდოდა ჩემ თავმკვდარო, შენ ჩემ თავმკვდარო ბატია!**

# «ჩემი ძვირფასი მამიდა»

გაგრძელება. დასაწ. იხ. საქართველო №35,36

კარგი ბატონო, გადავხედოთ კიდევ ერთხელ საქმეს და ვნახოთ, დედაა მართალი თუ თქვენ — ა, ბურთი და ა, მოედანი!

ჰოდა სუ! (ხმა ნახევრად ფარდააწეული სცენის კულისებიდან)

„საქმეს კი არა, თბილისს გადახედეთ, თბილისსო!"

ჰა! ვინაა ეს, რომ ერევა ჩვენს საქმეში! ბატონო ჯამლეთ! ბატონო ედუარდ! მომაცილეთ ეს პროვოკატორები! რა თბილისი, რის თბილისი! საქმეს მივხედოთ ბატონო, საქმეს!

ახლა შენ ჩემ თავმკვდარო ბატია, მე ხომ შენს მხარეს ვიყავი, უკვე მთლად შენი ვარ! შენისთანა ბუნჩულა ბიჭი, მეორე არ მინახავს! მერე რა — ხანდახან ვიღაც-ვიღაცეებს თუ შემოულაწუნებ, ან მანქანით გადაურბენ, მამიდა თუ შემოგელახება — დიდი ამბავი — მძიმე ცხოვრება გაქვთ გავლილი შენ და შენ ოჯახს — ხან სტალინი გდევნიდათ, ხან შევარდნაძე და ხანაც ბრეჟნევი და შჩოლოკოვი — გაგიფუჭდება კაცს ნერვები, აბა რა იქნება! ა. ბატონო საბუთიც — წყალი რომ არ გაუვა, ისეთი!

(რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, დოკუმენტს დედნის ენაზე გთავაზობთ თ.კ.)

СВИДЕТЕЛЬСТВО О БОЛЕЗНИ

17 октября 1960 г. Военно-врачебная комиссия Тбилисского окружного военного госпиталя №367 по распоряжению освидетельствовала

1. Фамилия, имя, отчество – Китовани Тенгиз Калистратович

2. Звание – рядовой

3. Войсковая часть – 61450

4. Год рождения – 1938. С какого времени служит в Советской Армии и Военно-морском флоте – с VI–1959 г.

5. Место постоянного жительства до службы – г. Тбилиси

6. Каким военкоматом принят на военную службу – Калининским РВК г.Тбилиси

7. Партийность –. Образование – среднее, профессия – педагог;

8. Рост – 172 см, вес тела – 71.7 кг. окружность груди 0 92 см.

9. Жалобы: нач. головные боли, повышенную нервозность, непереносимость шума и громкого разговора, несдержанность. Периодические боли в области печени, неспокойный сон, неустойчивость настроения.

10. Краткий анализ: Рос легко возбудимым, живым, подвижным, в 1951 году перенес травму печени с последующим гнойным воспалением желчного пузыря, лечился стационарно и амбулаторно, в последующим стал неуживчивым, конфликтным, на малейшие неполадки вдавался в несоразмерные невротические реакции, что проявилось как в



შოთა კიტოვანი მეუღლესთან და შვილთან, თენგიზთან ერთად. პირველი სურათი გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, 1955 წ.

семье, так и в период учебы, где несколько раз условно исключался за недисциплинированность. В период трудовой деятельности также "отмечались неполадки и стычки, хотя работал всего два часа в неделю" (преподаватель рисования). В армии постепенно болезненое состояние ухудшалось, т.к. не переносил большого коллектива, не терпел приказного тона, дисциплинарных требований, часто пререкался, грубил, конфликтовал, дрался. Во время конфликта с командиром, в состоянии возбуждения нанес себе лезвием порезы на груди. 120 суток сидел на гауптвахте, стоял вопрос о передаче суду, не судили, а перевели в другую часть, где состояние и поведение не улучшилось. Из-за болезни матери приехал в краткосрочный отпуск домой, где узнав, что его девушка оставила, впал в психомоторное вохбуждение, производил разрушительные действия, нанес себе порезы на коже груди и живота и был доставлен скорой помощью в госпиталь. В письменной жалобе матери (представленной из ВМО ЗакВО) отмечено, что сын ее долгое время лечился по поводу "болезни печени", в результате чего стал очень нервный и в период "нервного психоза" не давал отчета своим действиям, поэтому мы обеспокоены, что он может решиться на самоубийство, т.к. сын часто писал ей о болезни, что врачи ему не поверят, высказывал мысль о самоубийстве. Командир части в ответе на письмо матери сообщил, что "они согласны с оценкой матери характера сына и приложат все усилия в воспитании волевых качеств его характера". Пульс 76 уд. в I мин. АД 110/70. Со стороны внутренних органов изменений не отмечается. На передней поверхности груди и коже живота имеются множественные рубцы после нанесения себе ранений. Органического поражения нервной системы не выявляется. Мелкий тремор век и пальцев вытянутых рук, демографизм красный, стойкий, разлитой. Общий гипергидров. Сухожильные рефлексы равномерно оживлены по функциональному типу. Выраженный мышечный валик. Вял, на вопросы отвечает неохотно. При попытке более подробного опроса больного краснеет, дрожит, волнуется, считает, что ему трудно служить в армии, так как он "не сдержан", "а когда волнуюсь, что делаю сам не знаю". Настроение сниженное, с раздражительными фоном, легко возбудим. В отделении избирательно общителен, выражение лица всегда недовольное, вступает в конфликты с окружающими с агрессивными действиями. Большую часть времени проводит в пределах кровати, "чтобы лишный раз не волноваться". Высказывал суицидальные мысли. Был консультирован профессором Н.И. института психопатии с заключением: психопатическая личность. Ин. крови, мочи, желчи, р-скопия грудной клетки без патологических изменений.

**16. Диагноз – психопатическая личность аффективно-лябильного круга.**

17. Поставление вречебно-военной комиссии:

а) на основании ст. 76 гр. 1 расписания болезней и физических недостатков приказа Министров обороны СССР за #110 от 1956 г. негоден в мирное время, в военное время годен к нестроевой службе. Заболевание не связано со службой в СА.

აღმოჩნდა, რომ ბატიას თავიდანვე ჰქონია მიდრეკილება „რაზრუშიტელნიე დეისტვია"-სადმი, მაგრამ აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ თუ ადრე სახის გამომეტყველება მუდამ უკმაყოფილო ჰქონია, ჩვენს მეხსიერებაში ბატია ისეთი გაბადრული და კმაყოფილი სახით დამკვიდრდა, უბედნიერესი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს.

მკითხველი ალბათ მიაქცევდა ყურადღებას — „При попытке более подробного опроса больного краснеет, дрожит, волнуется, считает, что ему трудно служить в армии, так как о "не сдержан"...

ბატიას მაშინ ჯერ კიდევ ჰქონია შერჩენილი გაწითლების უნარი, კანკალებდა კიდეცო — არ მოველოდი კიტოვანისაგან კანკალს, თანაც რუსი ექიმების წინაშე, თუმცა შესაძლებელია ეს „კანკალი" სულაც ექიმების მიერ მოწყობილი პროვოკაცია იყოს, ისევე, როგორც „არმიაში სამსახური უჭირსო". რას ქვია უჭირს — კაცი საქართველოს გვარდიის მთავარსარდალი და შემდგომ თავდაცვის მინისტრი იყო და არმიაში ჯარისკაცად ვერ იმსახურებდა? მოკლედ, პროვოკაციას პროვოკაცია მოსდევს! ეს დიაგნოზი კიდევ რა ჭირი და დოზანაა — „პსიხოპატიჩესკაია ლიჩნოსტ აფექტივნო — ლიაბილნოგო კრუგაო!" რომელი „კრუგია" არ ვიცი, ერთი კი გავიგე — გინდა თუ არა ბატია „ფსიხია"-ო!

ეს ცნობა კი წარადგინეს ბატიას მშობლებმა სასამართლოში, მაგრამ არ დაუჯერეს და მათივე დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, თავიდან ჩაუტარეს ფსიქიური ექსპერტიზა. მოგიკვდეს ჩემი თავი ბატია, როგორ გაგაწამეს ერთი ბებერი ქალის ცემისათვის, ნამუსი აქვთ მაგათ?

ახლა ერთად წავიკითხოთ ბატია, ახალი — ქართული დასკვნა — რაც არ უნდა იყოს, მაინც „ეროვნული" დასკვნაა:

„აქტი №7. კიტოვანი თენგიზი კალისტრატეს ძის სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა.

ჩვენს მიერ თბილისის ჯანგანყოფილების ქალაქის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში თავ-რეობით საავადმყოფოს მთავარი ექიმი მარგველაშვილი, წევრები: საექსპერტო განყოფილების გამგე შალამბერიძე, ექიმი ექსპერტი ნიორაძის მიერ 1964 წლის 5 თებერვალს შემოწმებული იქნა კიტოვანი თენგიზი კალისტრატეს-ძე დაბადებული 1938 წელს, ექსპერტიზა ჩატარებულია თანახმად ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სახალხო მოსამართლის ქვანიას 1963 წლის 25 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე. დანაშაული გათვალისწინებული სსკ 111 მუხლით. ცემა მამიდა და მიაყენა სხეულის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება. ანამნეზური ცნობები მოწოდებულია დედის მიერ და ნასარგებლია საქმეში არსებული მასალებით. დედა ცოცხალი, 49 წლის,, ხასიათით ფიცხი, ადვილად ამგზნებადი პიროვნება, მამა 51 წლის, წონასწორი მემკვიდრეობით დატვირთული გ/პ მამის დედა (ბებია) იყო სულით ავადმყოფი. დაიბადა 8 თვიანი, ნორმალური მშობიარობით, ხასიათით ჭირვეული, მტირალა, მოუთმენელი, ჯიუტი, ძნელად აღსაზრდელი, სიარული დაიწყო მოგვიანებით, 2 წლის ასაკში. მეტყველება 3 წლის ასაკში. გადატანილი აქვს ბავშვთა ინფექციური დაავადებანი გაურთულებლად. 7 წლის ასაკში დაიწყო სწავლა, სწავლობდა დამაკმაყოფილებლად, კლასში არ დარჩენილა. 1958 წელს დაამთავრა სამხატვრო ტექნიკუმი, მუშაობდა პედაგოგად. 1959 წელს გაწვეული იქნა სამხედრო სავალდებულო სამსახურში. სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს იჩენდა უდისციპლინობას, ვერ იტანდა უსამართლობას, ქონდა ხშირი კონფლიქტები ირგვლივმყოფებთან, უფროსებთან, ისჯებოდა გამუდმებით. აღენიშნებოდა ხასიათობრივი ცვლილებები: ყოფილა უხალისო, დაბოლმიანებულ მდგომარეობაში. ქონია ადგილი სუიციდალურ ცდას. „ვარდებოდა მესამე სართულიდან", გადაუჭრია დანით მუცლის პრესი, წოლილა ჰოსპიტალში, ბრესტში. შვებულებით ჩამოვიდა თბილისში და გაიმეორა იგივე მდგომარეობა. შეხვდა მცირედი უსიამოვნება და განმეორებით გადაიჭრა მუცლის მიდამო „შეკრეს მეზობლებმა თოკით", რის შემდეგ მოთავსებული იქნა სასწრაფო დახმარების საავადმყოფოში, საიდანაც გადაყვანილი იქნა სამხედრო ჰოსპიტალში. განთავისუფლებული იქნა სამხედრო სამსახურიდან ავადმყოფური მდგომარეობით. განაგრძობდა მკურნალობას ამბულა-

გაგრძელება მე-8 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ იყო ვინ?

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

ვინ იყო ვინ?

**ზოგი მწარე და ზოგიც ნელ-თბილი შეკითხვა ბატონ ვახტანგ გოგუაძეს**

# საით მიდის საქართველო ?

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველო“ № 26,27,28,29,30,31 ,32,33,34,35,36

ალბათ, დადგა დრო, უფრო ახლოს მივიდეთ ამ კითხვასთან. ბიბლიური გამოცდილება ასეთია: უფალი თავის საყვარელ ხალხს სჯის და ამხელს. დიდი მსხვერპლით, ტანჯვით ასწავლის სიმართლის თქმასა და ქმნას. ეს ბოროქარი წლები რომ ღვთის სასჯელია, ამას ათეისტიც უნდა ხვდებოდეს. მორწმუნეთათვის, — ჩვენ კიდევ მეტი სასჯელი გვეკუთვნის, მაგრამ დიდია მოწყალება, შეწყალება უფლისა, ალბათ, გვაკმარებსო. დღეს მომწიფდა აუცილებლობა, რეალურად გადავხედოთ განვლილ გზას, თუ მას გზას ჰქვია, ვაღიაროთ, რომ ეს იყო ბარბაცი, გზააბნეული მთვრალივით რომ ვეხეთქებოდით იქეთ და აქეთ. რა თქმა უნდა, ჯერაც ადრეა ჭეშმარიტ გზაზე ვიგულვოთ თავი. ახლა ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ საღად. ავადმყოფური ეგზალტაციის დრო უნდა დამთავრდეს. მიუხედავად ჩვენი განუზომელი უბედურებებისა, ჩვენს ტანჯულ ცხოვრებას აქვს თავისი ღირსებები, კერძოდ, დაიწყო საღი აზროვნება. საამისოდ თვით ობიექტური აუცილებლობა გვკარნახობს. სიტყვით, თუნდაც გენიალურით, ვერ მოიყვან ასეთ აუცილებლობას. იესო ქრისტე ღვთის ჭეშმარიტებას ქადაგებდა, მაგრამ მხოლოდ თორმეტმა გაიგო მისი ნათქვამი თავისი მიწიერი ცხოვრების ჟამს. შემდეგ კი, როცა ამაღლდა ზეცად, იგი იქ გახდა მამის სწორი ღმერთი. მიწიერი სიცოცხლის დროს ქრისტე არ უწოდებდა თავის თავს ღმერთს — მას ოცდაათი წლისას გაუმხილა ზეცამ, რომ იგი იყო ძე ღვთისა.

საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების წინაპირობის შექმნაში გმირული ღვაწლი გასწია ჩვენმა პრესამ. გაზეთებში გაჰკვესა ტანჯვაში გამოკვერილმა მართალმა აზრმა, შეწუხებულმა და საღმა აზრმა. გაზეთის ამ დიდ მიღწევას, საზოგადოებრივი აზრის მის ფურცლებზე აკუმულირებას, ხელი შეუწყო ტელევიზიის პოლიტიკურმა ამოქოლვამ, სიმართლის ჩაქოლვამ. ვიმეორებ, საყვედური არ ეხება ტელეჟურნალისტებს, მათაც ისევე სტკივათ ქვეყნის სატკივარი, როგორც ბევრს (თუმცა, სამწუხაროდ, ყველა ჟურნალისტს მაინც არ ეხება, მათ, ვინც ემსახურებიან ძალას და სიყალბეს და არა გადასარჩენი საქართველოსათვის საჭირო წამალს — სიმართლეს). ჩვენმა დამოუკიდებელმა პრესამ საოცარი გაბედულება გამოიჩინა. გაბედულება აზროვნებაში უფრო ძნელია, ვიდრე სისხლისმღვრელ ომში. ღმერთი, ისტორია დაგიფასებთ ყველას ამ პატრიოტულ თავდადებას. აზრის გაბედულებამ, სიმართლის თქმამ ნიჭი გააალმასა. იმისთანა ღრმა ანალიზებს, ჭკვიანურ აზრებს ვხედავთ, რომ იმედი მოგვეცა — ქვეყანა გადარჩება. სიცრუე რომ ღუპავს სოფელს, ქალაქს, ერებს — ბევრი წერია ამის შესახებ ბიბლიაში. სიმართლის თქმა რომ ძნელია და ათასგვარ ლანძღვა-უბედურებას უნდა ელოდე იმათგან, ვისი ხელობაც ეს არის — ამასაც აღარ უნდა დიდი ფილოსოფია. მაგრამ ბოლო სიტყვას სიმართლე ამბობს.

„მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,
როცა ვარ შეწუხებული,
როცა გულს ცეცხლი მედება,
გონება მსჯელობს საღადა“ (ვაჟა)

კულისებში დაჩურჩულებს ასეთი გამოთქმა — „განაწყენებული პოლიტიკოსები“. თვითკმაყოფილი პოლიტიკოსი ვინ არის, ჩვენში, ეს მაინტერესებს ყველაზე მეტად. განახევრებულ-გაუბედურებული ქვეყნის მაცქერალი პოლიტიკოსი თუ ძლიერ შეწუხებული არ არის, განაწყენებული თუ არ არის თავისი ხვედრით, ქვეყნის ხვედრით, ალბათ, გასასინჯია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. ოღონდ, ვინც ფიქრობს ხელი მოითბოს ქვეყნის უბედურებით, თვითმიზნური ღვარძლით, ანგარიშსწორებისათვის გაჰყვირის, ისიც გასასინჯია. დღეს ჩვენს ქვეყანას სჭირდება — თვითკმაყოფილმა და განაწყენებულმა პოლიტიკოსებმა ერთად ვიშოვოთ, ახლა მაინც ვიშოვოთ კომპასი.

„ჩემზე იტყვიან ის სიავეს ქართვლისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეს ხომ ცხადი სიძულვილია,
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე გრძნობს
ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია“.
(ილია)



ახლა უფრო ახლოს საქმესთან. არაფერი ისე არ სჭირდება დღეს საქართველოს, კარგად გაიხედოს და დაინახოს — საით მიდის. აქამდე თითქმის მივდიოდით ამერიკის შეერთებული შტატებისაკენ, ალბათ, გვეგონა შტატი „ჯორჯია-2“ გავხდებოდით. მაგრამ ჩვენი ცნობიერება არ ანაწევრებდა დასავლეთის ცნებას. როცა ვამბობდით ჩვენი კურსი პროდასავლურია, იგულისხმებოდა ამერიკულ-ევროპული. მადლობა ღმერთს, გაიხსნა ზეცა და ვიხილეთ, ამერიკულ-ევროპული არა თუ ერთიანი, იდენტური ცნებაა, არამედ დაპირისპირებულიც გახლავთ. მე მომხრე ვარ ევროპისაკენ წავიდეთ, მაგრამ არა ამერიკისაკენ. თვითონ ევროპამ უფრო გამოჰყო ბრჭყალები — ევროპა კლასიკური კულტურის ქვეყანაა და თანამედროვე ცივილიზაციის აკვანი, მისმა კულტურის ფესვებმა, დიდმა თავმოყვარეობამ გამოიღვიძა და აღარ სურთ მაღალსახლებიანი და ნაკლებ კულტურიანი ძალა ბატონობდეს მასზე. მაგრამ ეს განსაკუთრებით ძნელი დასანახი იყო ჩვენში. ის, რაზედაც დღეს შეიძლება ლაპარაკი, მე ვერ ვბედავდი ორი წლის წინათ ამის თქმას. ერთი წლის წინათ მხოლოდ ნახევარქარაგმებით მივანიშნებდით, ჩვენ ამერიკის მოკავშირეები არა ვართ, უფრო ზუსტად, ამერიკა არ შეიძლება შენი მოკავშირე იყოს. ცოტა ხნის წინათ გვეგონა, თუ ამერიკისაკენ გავიწვდით ხელებს, ამერიკა გამოექანება ჩვენს ასაყვავებლად. აი, რა დონეზეც ვაზროვნებდით, იმ დონეზე „ავაშენეთ“ ქვეყანა. მე მინდა ჩვენი კულტურული საზოგადოებრივი და პატრიოტული აზრის მიღწევად ჩავთვალოთ ბატონი გიგა ლორთქიფანიძის ამასწინანდელ დიალოგში „პირისპირ“ ვ.კვარაცხელიასთან „სატელევიზიო“ გამოსვლა (იხ. „შანსი“ №81“). ეს ისეთი ღიმილისმომგვრელი „სატელევიზიო“ პირისპირია, როგორც წყნეთის საზღვაო ფლოტი. მაგრამ აქ ბატონი გიგას მიერ გამოხატული გულისტკივილი უყურადღებოდ, ცხადია, არ დარჩება. მინდა ბოდიში მოვიხადო ბატონ გიგასთან იმის თაობაზეც, რომ ერთი ადამიანური ურთიერთობის დეტალი უნდა განვმარტო. ბატონი გიგა და მე ხეირიან სალამსაც ვერ ვეუბნებით ერთმანეთს. ბატონ ედუარდს, კარგად ახსოვს ბატონი გიგას აღშფოთება წინა საპარლამენტო უმრავლესობის კრებაზე ჩემს მიმართ. საკითხი ეხებოდა ჩემს მეტისმეტად მწვავე გამოსვლას სახელმწიფოს მეთაურის მიმართ მაშინდელ სატელევიზიო „პირისპირში“ ვალერი კვარაცხელიასთან. მაშინ მე სპიკერი გახლდით და ამბობდნენ, — როგორ შეიძლება პირველი მოადგილე სახელმწიფოს მეთაურს აკრიტიკებდესო. სხვათაშორის, პრესაში ამგვარი საყვედურები საკმაოდ შემონახულია ჩემს მიმართ სხვა საკითხებთან დაკავშირებითაც. ამას მე შევახსენებ იმათ, ვინც პოლიტიკაში (ბოდიშის მოხდით) ტყემალზე სხედან და ჰგონიათ საზამთროს ჰკრეფენ. ახლა რომ გადაუდვიათ მხარზე ენა და ამბობენ — სად იყო მაშინ, ახლა რომ თანამდებობა აღარა აქვს იმიტომ აკრიტიკებს, — მაშინ ხომ გუნდრუკს უკმევდაო, მე გუნდრუკსაც ვუკმევდი კარგი საქმისთვის, გააფთრებულ საქმიან წინააღმდეგობასაც ვუწევდი და როცა სხვა გამოსავალი აღარ იყო, საჯაროდაც ვაკრიტიკებდი. პრეზიდენტს ახლა არ აკლია ჩემგან ქება იმ საკითხებთან გახსენებით, რასაც მისი სახელი რეალურად უკავშირდებოდა. ქებასთან ერთად ვამხელ მის დამღუპველ პოლიტიკურ კურსს, ეს იმიტომ, რომ არ დაიღუპოს არცა ქვეყანა და არც პრეზიდენტი მისი. ერთი სიტყვით, ბატონი გიგა ლორთქიფანიძისთანა ერთგული კაცი არა მგონია პრეზიდენტს ბევრი ჰყავდეს. „პირისპირის“ ამ დიალოგშიც იგი გულწრფელად ადასტურებს თავის ერთგულებასა და თანადგომას პრეზიდენტისადმი. ბატონი ვალერის ერთ-ერთ კითხვაზე ბატონი გიგა პასუხობს (ციტატა მომაქვს არასრულად). ამერიკამ „ჩვენ შეიძლება ისე გადაგვთელოს, რომ სახე არ შეგვრჩეს, მეტსაც გეტყვით, იტალიაში, ტირიან, — საფრანგეთში ტირიან — შეგვჭამა ამერიკამო. ისე წალეკა ამერიკულმა მასკულტურამ ევროპული ხელოვნება, რომ უზარმაზარი პრობლემები გაჩნდა. ასე რომ, ამერიკულ-ევროპული დაპირისპირებაც კი არსებობს. ამერიკა შეიძლება ჩვენს რელიგიასაც კი შეეხოს. მართლმადიდებლობა მარტო ცარიელი სიტყვები კი არ არის, ეს ჩვენი სულიერი მრწამსის გამოხატულებაა. ჩვენი სულიერების ამოსავალი ქვაკუთხედია. ჩვენს ერს შეიძლება ეს ბოლომდე არც ჰქონდა გაცნობიერებული, მაგრამ ინსტიქტურად გრძნობდა, რომ მისი ხსნა მართლმადიდებლურ ქრისტიანობაში იყო. დღეს ჩვენი ახალგაზრდების ერთ ნაწილს აქვს ასეთი მსოფლმხედველობა (ჯგუფებია შექმნილი), რომ ქართული კულტურა არ არსებობს და იგი თავიდან უნდა შეიქმნას ამერიკის სტანდარტების მიხედვით. ეს არის დაღუპვა“.

ბატონი გიგა ქართული კულტურის კატასტროფას კი არ ტირის მხოლოდ. იგი თავის ნამოღვაწარის, მთელი არსებობის აზრის, შესაძლო განადგურებასაც მისტირის. ვილას დასჭირდება „დათა თუთაშხია“, გადაგვარებულ და გაურჯულოებულ ხალხს?

გიგა ლორთქიფანიძე სახელმწიფო მოღვაწეა, დეპუტატია, წამყვანი პარტიის, მოქალაქეთა კავშირის წევრია. აქაც კაცურია მისი აღშფოთება, რომელიც გრძნობს პასუხისმგებლობას ქვეყნის წინაშე. გაჩუმება სრულიადაც არ გახლავთ მშვიდი ცხოვრების გარანტია: „თუ მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას ყურადღება არ მიექცა და გაგრძელდა ისე, როგორც აქამდე, თუ გაგრძელდა სავალუტო ფონდის კარნახით რეფორმები, როცა იგი გვეუბნება, რომ ჩვენ პროდუქცია არ უნდა ვაწარმოოთ, რომ გადასახადები უნდა ავკრიფოთ, მაგრამ ხელფასები არ უნდა გავცეთ, თუ ამ გზას გავყევით, ესეც დამღუპველია. მე ვესწრებოდი საუბარს, როდესაც შადმან ვალავიმ პირდაპირ გამოგვიცხადა — რას იკლავთ თავს ამ ვაზისთვისო, ღვინო იტალიიდან და ესპანეთიდან შემოიტანეთო, უფრო იაფი დაგიჯდებათო. ამით პირდაპირ ხელი გვკრა — ვაზი აჩეხეთო, იმიტომ, რომ იმას ბოდიში და ფეხებზე ჰკიდია შენი ვაზის კულტურა და ტრადიციები, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ეს ჩვენთვის დამღუპველია“.

ბატონი გიგას ამ დიალოგში ჩვენი პოლიტიკური კურსის ყველა სტრატეგიული ნაბიჯი შეფასებულია სიტყვით — „დამღუპველია“. ბატონო გიგა, თვალწინ მიდგას „დათა თუთაშხიიდან“ სეთურის თვითკმაყოფილი მრევლი — „პოლიქრონიონ“, „პოლიქრონიონ“.

მე ასეთი მისიკვდილებული ქართველი ერი ვერ წარმომიდგენია. ის კი არა და საკმაოდ არიან უტიფარნი და რჯულმიტოვებულნი, რომლებიც ღიად ქადაგებენ კოსმოპოლიტიზმს, ეროვნულის უარყოფას. თუ ქართველობამ უარი თქვა ქართველობაზე, მაშინ რისთვის მიათრევდნენ ჩვენი წინაპრები სამიათასი წლის ძელს ეროვნული თვითმყოფობისა. ამაზე უფრო დიდ დაცემას, კრახს ვერ წარმოვიდგენდი. ხალხურიდან გამიგონია — მეფე ერეკლეს მოახსენეს — მეფეო, ერი თვითმკვლელობისაკენ არის მიდრეკილიო... აი, დღეს ჩვენი ცნობიერების ასეთი დაბნელება, მარტო საკუთარი სიბნელის შედეგიც არაა. იერიში მიიტანეს ერთდროულად ჩვენს მიწა-წყალზე, ეკონომიკისა და რჯულის (ქართველობის) მოშლაზე. ეს ხომ ვარაუდი არაა. ეს ხომ ცხადზე უცხადესი ფაქტია, რომლის არდანახვა მტერსაც კი არ შეუძლია.

კიდევ ერთხელ მინდა გამოვხატო ამერიკის შეერთებული შტატების ხალხისადმი ჩემი ულრმესი პატივისცემა — ხალხი (დიფერენცირებულად) არის ბავშვები, ქალები, მოხუცები, ახალგაზრდები, ისინიც და ჩვენც ადამისა და ევას ნაშიერნი ვართ. მაგრამ ჩვენი ქვეყნების, ხალხების ცხოვრების წესი იმდენადვე შორეულია, როგორიცაა ჩვენი ტერიტორიული სიშორე. არც ამერიკის სახელმწიფოებრივ ინტერესებშია რომელიმე ქვეყანა არჩინოს და ააშენოს. მან უნდა ააშენოს თავისი ქვეყანა, ხშირად სხვა ქვეყნების საზიანოდაც. ეს არის სუპერსახელმწიფოთა, ანუ იმპერიების ლოგიკა.

როდესაც ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის დაცვის აუცილებლობის, ტრადიციების დაცვასა და სიმტკიცეზე ვლაპარაკობთ, ზოგიერთი კოსმოპოლიტი თვითკმაყოფილი უპირატესობის ნიშნით გადმოგხედავს და გეტყვის, შუა საუკუნეების დონეზე აზროვნებთო. თუ ამისთანა კაცს ჰუმანიტარული ფაკულტეტი აქვს დამთავრებული, მისი დიპლომი სირცხვილისაგან უნდა დაიწვას. მათ ჰგონიათ, სიბრძნე დროის კიბეზე მაღლდება და დღეს ის უფრო მაღალ სიბრძნეს ფლობს, ვიდრე საწყალი იოანე პეტრიწი ან რუსთაველი, რადგან მათ არ იცოდნენ ტელევიზორი თუ კომპიუტერი. დღევანდელი კაცობრიობის სიბრძნისაგან გამოფიტულობა, გონის კულტურის დაქვეითება, არცერთი სერიოზული სწავლულისათვის არ უნდა იყოს უცხო. უნდა გვესმოდეს, რას ნიშნავს — „ცივილიზაცია სპობს კულტურასო“. ყოველ შემთხვევაში ცივილიზაციის სახელით რომ კეკლუცობენ, ცოტა მეტი სიღრმე საჭირო. ასეთი განათლება ქოთნის მცენარეების ფესვების სიღრმისაა. ეს არის სწორედ პროვინციალიზმი, რომელმაც არ იცის, რომ რომის იმპერიის პროვინციაში დაიბადა იესო ქრისტე. ყოველ ხალხს აქვს მარადიულ-საკრალური საყრდენი წესი, რომლის სიმყარით განიზომება ხალხის სიმტკიცე და გამძლეობა. კეთილი შურით მშურდა ებრაელების რჯულის სიმტკიცე. როცა რომის იმპერიაში იუდეველებს ძალიან გაუჭირდათ, საფრთხე იდგა სხვადასხვა ტომებში მათი გათქვეფისა, კიდევ უფრო დახუნძლეს თავისი რჯული წესებითა და კანონებით, ასე მოიზღუდეს თავი სხვათაგან, შეინარჩუნეს სარწმუნოებრივ-ეროვნული მეობა.

გაგახსენებთ, მოსე, სინაის მთაზე, უფლისაგან უზენაეს მცნებას იღებს. მან თავისი სამწყსო აარონს დაუტოვა. ვიდრე მოსე ღვთაებრივ სამყაროშია, თანამოძმეებმა შეაგროვეს ოქროს-სამკა-

გაგრძელება მე-4 გვ.

# საით მიდის საქართველო ?

მესამე გვერდიდან

ულები, ჩამოასხეს ოქროს კერპად, ოქროს ხბოდ და მის ირგვლივ დაიწყეს როკვა. სინადან გაბრწყინებული მოსე, როს შეხედავს რჯულდაკარგულ თავის ხალხს, ოქროს კერპის ირგვლივ რომ ტლინკაობს, განრისხდა ღვთის რჩეული და ძელი (ფიქალი) კლდეზე მიალეწა. (მეორედ აღადგენინა უფალმა იგი).

გახსოვთ, ალბათ, რა ბედი სწია მოსემ მათ, რჯულის დამგდებთ მუსრი გაავლო.

ერთ წიგნს აღემატება თავისი ღირსებით ჩვენზე ზედგამოჭრილი ანდაზა: „თურამაულის პატრონი სხვის ტყეში ეძებს პანტასა". საშინელი პროვინციალიზმი სუფევს ამ უფესვო განათლებულებში. 100-სართულიანი სახლების სიმაღლედ წარმოუდგენია ამერიკული ზნე-ჩვეულებანი თუ იქაური სიბრძნე. ტექნიკური ცივილიზაციის სატანური ჭკუა არ არის ღვთაებრივი ჭკუა. ფულის შოვნის ხელოვნება არ ჰგავს ბეთჰოვენის ხელოვნებას. სამყარო, სადაც ყველა ღირებულება შთანთქმულია დოლარის კულტით, დოლარის შოვნისა და მომატების ფიქრით, აზრი, გრძნობა კონცენტრირებულია ოქროს კერპის ირგვლივ, იქ სულიერ კულტურაზე აღარაა ლაპარაკი. ამას თვითონ პროგრესულად მოაზროვნე ამერიკელებიც განიცდიან. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები სუპერსახელმწიფოა, მას თავისი ღირსებები გააჩნია. რაც ამ ქვეყნისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა, იგივე მოვლენა ჩემი ქვეყნისთვის დამღუპველი შეიძლება იყოს. შტატებში, თუ არ ვცდები, ოთხი მილიონი ჰომოსექსუალისტია. გახსოვთ, ამას წინათ ბატონი კლინტონი რამდენს ებოდიშა პატივცემულ პედარასტებს — ჯვარის დაწერა ნამეტანი იქნება, ისე კი რამდენიც გნებავთ, ინებივრეთო. ჩვენი კეკლუცი პოლიტიკოსები მალე დაგვცინებენ, ნახეთ რა შუასაუკუნეების დონეზე მსჯელობთ, ჩვენ ხომ ცივილიზებულად უნდა ვიმსჯელოთო. მე არავის ვუკრძალავ, როგორც უნდა თავისი სხეული თვითონ ისე მოიხმარონ, მაგრამ სხვას რომ ხრწნის, ეს ხომ არის საზოგადოების ხრწნის და დეგრადაციის ნიშანი?

ახლა ვნახოთ, თქვენ უფრო მაღლა დგეხართ, ბატონო ცივილიზებულნო თუ ის პოზიცია, რომელიც მწვერვალია ღვთაებრივი სიბრძნისა. კულტურაზე, წესებზე აღზრდილი ადამიანი თუ ხალხი, არის კულტურული, წესიერი. უმაღლესი წიგნი, თვით ღმერთის მიერ დაწერილი წიგნი (მისი კარნახით) შექმნილი უზენაესი სიბრძნისა, არის ბიბლია. აქ შემთხვევით არაფერი წერია: „შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი" (დაბად. I, 27) დიახ, ეს არის ღვთაებრივი ქმნილების საკრალური სტანდარტი, რომლის ცვლილების უფლება არავისა აქვს. მცდელობა ადამიანის ღვთაებრივი ბუნების დასახიჩრებისა არის უკიდურესი დაცემის გამოვლინება. მაშასადამე, როგორც ვხედავთ, „მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი". საშუალო სქესის შესახებ აქ არაფერია ნათქვამი. ყველაზე ძვირფასი, რაც ღმერთმა ადამიანს უბოძა არის, რომ იგი შექმნა „სახიდ თავისად". ღმერთმა ადამიანს თავისი სახის მსგავსება უბოძა. ვინც ამ სახეს წაბილწავს, როგორც სოდომელი მამათმავლები, ისევე დაისჯება მთელი ქვეყანა, როგორც სოდომი და გომორი; „აწვიმა უფალმა ციდან სოდომს და გომორს გოგირდი და ცეცხლი უფლისაგან. დაამხო ეს ქალაქები და მთელი მხარე, ამ ქალაქების მთელი მოსახლეობა და დედამიწის აღმონაცენი". (დაბად. XIX, 24-25).

ამერიკის შეერთებულ შტატებს ეს დაავადება არ დაღუპავს, მაგრამ ჩვენ ხომ გაგვანადგურებს. ღმერთმა დასაჯა პედერაცია.

როგორც ჩანს, მონობიდან გამოსულნი, ისევ მონათმფლობელს ეძებენ. ამერიკამ ჩვენ ლამის თურქეთის პროვინციად გვაქცია.

ღმერთმა დასწყევლოს ყველა იმპერია. დროა, ქვეყნების, ერების კულტურული თვითმყოფადობის სრული პატივისცემის ნიადაგზე კულტურულ-ცივილიზებული წესით შეიქმნას, რეგიონალური თანამეგობრობანი და არა იმპერიები. რუსეთის იმპერია აღარ არსებობს. თქვენ უკვე გესმით ევროპის სახელში, ფოთა წარმომადგენლების ლექსიკონში მოხშირდა პროტესტის სიტყვა — ჩვენ არ გვინდა ამერიკის შეერთებული შტატების დიქტატით ვიცხოვროთ. ასე რომ, ამერიკის იმპერიაც მალე დაიშლება და შტატებს ვუსურვებთ თავის დამოუკიდებლობას, თვითმყოფად განვითარებას — ყველა ქვეყანასთან თანასწორუფლებიანი დამოკიდებულების სახით. აშშ ჯერჯერობით იმ პოზიციაზეა, რაზედაც თავის დროზე იყო ამერიკის პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი: Кавказ, придется, вероятно, рассматривать как часть проблемы Турецкой империи" (Г.Зюганов, Держава М., 1994, გვ. 152).



ბატონო რედაქტორო, როგორც მოგახსენეთ, ჩვენი პრესა განთავისუფლდა ურთიერთ მატერორიზებელი თავდასხმებისაგან. ამის ნიმუშია თქვენი გაზეთიც... კოსმოპოლიტები ხანდახან უტევენ რუსეთუმეებს (არა თურქეთუმეებს). მაგრამ დიდი ხნის დანაპირები სინათლე გვირაბის ბოლოს, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გამოჩნდეს?! ისე კი გვირაბში ძალიან ბნელა.

1945 წლიდან, ომის დამთავრების შემდეგ, პირისპირ დარჩა ორი მტრული იმპერია — საბჭოთა და ამერიკის შეერთებული შტატების იმპერია. ამერიკას მეტი ფული ჰქონდა. გაცილებით მეტი გადადო იდეოლოგიური ომის მოსაგებად. შეიარაღების გადიდება-განვითარებით თითქმის ტოლფას დაფინანსებას აკეთებდა იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული სამსახურისათვის.

„ცრუ" აფინანსებდა ნიჭიერსა და ჭკვიან პოლიტიკოსებს, მეცნიერებს, ხოლო საბჭოთა იდეოლოგია, პროპაგანდა, ჩაბარდა ბრიყვებს. საბჭოთა პროპაგანდის საგანგებო სიბრიყვეც, მისი უკუეფექტებიც კი ძალიან ჭკვიანურად იყო მოფიქრებული. ამერიკის დაზვერვის სამსახური ჰკრებდა ნიჭიერ ხალხს ყველა სფეროში და უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებდა ხალხზე ზემოქმედების ეფექტს. ანეკდოტსაც კი ხშირად ლაბორატორიული წესით ამზადებდნენ, რაც ოსტატურად სთესდა ხალხებს შორის შუღლის მარცვალს. ამდენად მზადდებოდა არა ხალხისაგან დამოუკიდებელი იმპერიის მანქანის დანგრევა, არამედ დანგრევა ხალხების ცხოვრებისა. სხვანაირად ეს უბრალოდ შეუძლებელიც იყო. ჩვენ კიდევ ისე ვზეიმობდით საბჭოთა იმპერიის დანგრევას, თითქოს იმ მანქანაში ჩვენ კი არა, მხოლოდ ავი სულები ისხდნენ. ამოცანა უნდა ყოფილიყო არა ქვეყნების ცხოვრების დანგრევა, არამედ რესპუბლიკების სუვერენიტეტის თანდათანობითი გაზრდა, სერიოზული გარდაქმნები და არა ბოროტი ნგრევა. დღეს ბიპოლარული მსოფლიო აღარ არის. მსოფლიოს ხალხები ფიქრობდნენ, რაც ბოროტება არის ქვეყანაზე, სულ ბოროტების იმპერიიდან (რუსეთიდან) მოდისო. აღარაა რუსეთის იმპერია, ბოროტებამ კი საგრძნობლად იმატა. ასე რომ, ამერიკის შეერთებულ შტატებს ბუმერანგივით უბრუნდება თავისი ოპონენტის დამარცხება. ის პროგრამა, რომელსაც საბჭოთა იმპერიის ნგრევა ერქვა, არ შეწყვეტილა და გრძელდება ამ ქვეყნების გაჩანაგება-განადგურების იმგვარი შედეგებით, რაც ჩვენში, რუსეთში და სხვა რესპუბლიკებშიც გვაქვს. ყველაზე მეტად, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებიდან, ჩვენ დავზარალდით. ჩვენ უკანასკნელ ადგილზე ვართ.

ამერიკის პოლიტიკა არ არის ერთსახოვანი. ამერიკაში არის ჰუმანური პროგრესული ძალები, რომლებიც ჩემზე უფრო მწარე გამოთქმებს იყენებენ აშშ-ს ხელისუფლების კურსის მიმართ. დემოკრატ ამერიკელებს არც ჩემგან გაუსკდებათ გული. ვუსურვებ მათ საკუთარი იმპერიისაგან გათავისუფლებას, ისე, როგორც რუსეთის დამოუკიდებლობის დღეს, 12 ივნისს, ბატონ ელჩს ჩვენმა დეპუტატებმა იუმორით მივულოცეთ საქართველოს ულლისაგან რუსეთის გათავისუფლების დღესასწაული. გენიოსი კაცი იყო ალენ დალესი, სატანის ჭკუა ჰქონდა: კიდევ ერთხელ შევახსენებ ჩემს მკითხველს, პოლიტიკოსებს, ვისწავლოთ მისგან, როგორ უნდა მტრის დამარცხება: სტალინის სიკვდილის შემდეგ, წერს იგი, „...დავთესავთ რა საბჭოთა კავშირში ქაოსს, ჩვენ შეუმჩნევლად შევუცვლით მათ ღირებულებებს ყალბი ღირებულებებით და ვაიძულებთ მათ ირწმუნონ ეს ყალბი ღირებულებები... როგორ? ჩვენ ვიპოვით ჩვენს თანამოაზრეებს, ჩვენს მოკავშირეებსა და დამხმარეთ თვით რუსეთში, სახელმწიფო ხელისუფლებაში. ჩვენ შევქმნით ქაოსს, უწესრიგობას... უტიფრობა და თავხედობა, სიცრუე და მატყუარობა, ლოთობა და ნარკომანია, ცხოველური შიში ერთმანეთისადმი, მოურიდებლობა, გამყიდველობა, ნაციონალიზმი და ხალხთა შორის მტრობა, უპირველეს ყოვლისა მტრობა და სიძულვილი რუსი ხალხისადმი, ყველაფერ ამას ჩვენ შეუმჩნევლად და მარჯვედ დავნერგავთ, ყველაფერი გაიფურჩქნება, აღაღანდება შავბნელ ფერებით. ჩვენ მოვარყევთ თაობიდან თაობას... ჩვენ ავიყვანთ ჩვენი გავლენის ქვეშ ადამიანებს ბავშვობისა და ყრმობის წლებიდან. ჩვენ მათ გადავაქცევთ ცინიკოსებად და თახსირებად, კოსმოპოლიტებად. აი, ასე მოვიქცევით ჩვენ". (Социально–политический журнал №1-2, 1993 წ. გვ. 130—131).

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა, კონგრესზე, ეს აზრი უფრო კეთილშობილური ფორმით ასე გამოხატა 1992 წელს: „ჩვენ ტრილიონები დავხარჯეთ უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში, გამარჯვება რომ მოგვეპოვებინა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „ცივ ომში". („Лит. Россия 1992, 31 июля).

ასე რომ, დავამარცხეთ „ცივი ომი" და მივიღეთ ცხელი ომი. პატიოსნად თუ არ ვიფიქრეთ, პატიოსნად თუ არ ვაღიარეთ ჩვენი ცოდვები, უგნურებანი, რამ მოგვიტანა ომი, რამ მოგვიტანა მშვიდობა (თუკი გვაქვს იგი) — ისე არაფერი გამოგვივა. ახლა, მე მოვიტან ყველა ქართველზე უფრო ცოცხალი ქართველის სიტყვებს, რომლის სული თანამდევი[illegible] ჩვენს ხალხს [illegible] ჩვენ კვლავაც გვა[illegible] ჭკუა. [illegible] ეს სიტყვები წარმოთქმულია, საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლის თავზე:

„საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა, შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრადღა დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვარისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა სააქაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინაღამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცა მის თავდადებულ შვილებს, რომელნიც უმწეოდ, უნუგეშოდ, ყველასაგან შორს, მარტოდ-მარტო იხოცებოდნენ ქრისტეს სარწმუნოების სადიდებლად და თავისის ვინაობის გადასარჩენად. დაიდვა საზღვარი მშვიდობისმყოფელ ცხოვრებისა".

თანამემამულენო., მესმის, რომ დღეს ევროპაც სხვანაირია, რუსეთიც და საქართველოც. სხვანაირი არაა მხოლოდ რწმენა და სიყვარული, ის, რაც მარადიულია. უმადური არც კაცი უყვარს ღმერთს, არც ხალხი. როცა ვამბობთ, რომ ჩვენ და რუსები ძმები ვართო, ეს არ არის დამამცირებელი, დამამცირებელია, როცა ვამბობთ, — იძულებული ვართ მივიდეთ რუსეთთან თანამშრომლობისათვის. თუ გვინდა რუსეთთან მართლა შენთვის სასიკეთო შედეგი, უნდა მიხვიდე იმ რწმენით, იმ აზრით, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ჰქვია. რწმენადაკარგული, ტრადიციებმიტოვებული ბოგანო, როდის იყო რამეს წარმოადგენდა, რაიმეს სასიკეთოს შექმნიდა. ჩვენ რუსეთთან უნდა აღვადგინოთ ჭეშმარიტი ძმური და თანასწორუფლებიანი ურთიერთობა. ეს არ მიიღწევა იმ პროვინციალიზმით, იმ ჭიჭყინით, პოლიტიკური ვაჭრობით, რასაც ჩვენი და რუსეთის ბევრი ვაიპოლიტიკოსი ეწევა. ჩვენ რუსეთთან ერთად უნდა შევიდეთ ევროპის სახლში, უფრო ზუსტი ვიქნები თუ XXI საუკუნისაკენ გავიხედავთ, ჩვენ უნდა შევიდეთ ევრაზიის სივრცეში, დიდ მომავალ თანამეგობრობაში, ისლანდიიდან, ვიდრე იაპონია — ინდონეზიის ჩათვლით, ამისთვის ჯერ კარის მეზობელთან უნდა მოვაგვაროთ საქმე. მადლობა ღმერთს, სომხეთი და აზერბაიჯანი საუკუნეების მემკვიდრეობას ასე უფრთხილდებიან ჩვენთან ძმობაში, ეს ჩვენი მამა-პაპათა ტრადიციების წყალობითაა.

ბოლო კითხვა №14.

„ბატონო ვახტანგ, გველირსება რამე თქვენს ხელში?"

— ჩვენს ხელში არა, მაგრამ, როგორ დავიჯერო, ღმერთი როგორ გაიმეტებს ამ სიტყვების ავტორის მთასა და ბარს, ღვთივნატანჯ ქვეყანას:

„ეღირსებაო ლუხუმსა
ლაშარის გორზე შადგომა".

**P.S.** ბატონო ნოდარ,

უაღრესად გულწრფელი მადლობა მინდა გიძღვნათ. კარგი შეკვეთა იმას გათქმევინებს, რაზეც არც გიფიქრია. მართალია თქვენი „მწარე" შეკითხვები არც ისე მწარე აღმოჩნდა, ჩვენი ძველი მეგობრობისა გამო. თქვენ ახალგაზრდა ხართ — მეგობრობის, სიქველის ნიჭით. დეე, მივანდოთ დროს და არსთა გამრიგეს, რამდენად მიუკერძოებლად შევძელი მომეთხრო რამდენიმე ეპიზოდი, ჩემი, არც ისე დალხინებული, ცხოვრებიდან, ის, რაც ქვეყნის ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული, რისი მოწმე თუ მონაწილე ვიყავი. მე მგონი დიდი ვერაფერი შევძელი, მაგრამ არც ერთ წამს არ მავიწყდებოდა „სინდისის შინაგანი ხმა ჩემში"...

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა, წარმატებები თქვენს „საქართველოს" ძველი და მომავალი საქართველოს საკეთილდღეოდ. ღმერთმა საქართველოზე უფრო ბედნიერი ნუ გაგვხადოს. თუ ბედნიერებაა მხოლოდ ჩვენს ტანჯულ ქვეყანასთან ერთად.

**ვახტანგ გოგუაძე**



# 700 მილიონი დოლარი სამყაროსთან კავშირისათვის

**რადგან ამ ქვეყნად ყველაფერს თავისი ღირებულება აქვს, გასაკვირი არაა ადამიანის კეთილდღეობა, კერძოდ კი გარემო სამყაროსთან კავშირი, 700 მილიონი დოლარი ღირდეს. ასეა შეფასებული საქართველოში კავშირგაბმულობის სფეროს სრული მოწესრიგება. ეს იმდენად დიდი თანხაა ჩვენი ქვეყნისთვის, რომ ძნელია ერთი ხელის მოსმით ამ უზარმაზარი საფასურის გადახდა. როგორი გზებია დასახული საქართველოს კავშირგაბმულობის ალსადგენად და შემდგომში მისი სრულყოფისათვის? სწორედ ამ საკითხზე გვესაუბრება საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრის პირველი მოადგილე, საქართველოს ტელეკომის გენერალური დირექტორი, ბატონი ნოდარ ხარატიშვილი.**

**— კავშირგაბმულობა ერთ-ერთია იმ სტრატეგიულ ფაქტორთა შორის, რომელიც სახელმწიფოს არსებობისათვისაა აუცილებელი. რა მდგომარეობაა საქართველოში ამ სფეროში?**

— დაინგრა საბჭოთა კავშირი, ჩვენ გამოვეყავით ერთობლივ ქსელს და უკვე შვიდი წელია არანაირი სათადარიგო ნაწილი არ მიგვიღია, მწყობრიდან გამოდის ტექნიკა, მათი განახლებისათვის კი დიდი თანხებია საჭირო.

**— სახელმწიფო დაფინანსება არ არსებობს, ან უცხოური ინვესტიციები?**

— ჩვენ ბიუჯეტური სამინისტრო არ ვართ, ამიტომ სახელმწიფო არანაირ თანხებს არ გვაძლევს. მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადები მიზერულია. რაც შეეხება ინვესტიციებს, ფულს ადვილად არავინ იძლევა. უცხოელმა თუ არ დაინახა, რომ ქვეყანა პოლიტიკურად და ეკონომიკურად სტაბილურია, ის არ დაინტერესდება. ეს პროცესიც დაიძრა, ჩვენ, პირველი, რაც გავაკეთეთ, ეს იყო საერთაშორისო სატელეფონო მომსახურება. ეს იმიტომ, რომ იგი არის ერთადერთი წყარო სავალუტო შემოსავლისა, სამინისტროს სხვა ფინანსური წყარო არ გააჩნია. ყველა ქვეყანა ასე იწყებს, ჯერ საერთაშორისო კავშირები გვარდება, შემდგომ ქვეყნის შიგნითა კავშირები ვითარდება. მეორე ეტაპიც დაიწყო საქართველოში. გადავედით სატელეფონო ქსელის რეკონსტრუქციაზე. ჩატარდა საერთაშორისო ტენდერი, რომელშიც კორეის ფირმა „დეივუ"-მ გაიმარჯვა და ამის შედეგად შეიცვლება ოცდაათი



ათასი ნომერი ოცდათერთმეტი, ორმოცდათერთმეტი, ოცდათექვსმეტი, ოცდაათი ატეესებისა. ასე რომ, წლის ბოლოს ჩაბარდება განახლებული (მართალია ნაწილობრივ) ოთხი ატეესი. მუშაობა დაწყებულია და დეკემბრის ბოლოს გაშვებული იქნება ოცდაათი ათასი ნომერი.

**— თქვენ აღნიშნეთ, რომ არ არის ფინანსები მწყობრიდან გამოსული სატელეფონო სადგურების შესაკეთებლად. თუკი შესაძლებელია ახალი სადგურების გახსნა, იქნებ მათ მაგიერ ჯერ ძველი შეგვეცვალა?**

— ახალი სატელეფონო სადგურები, რომლებიც ამ ბოლო პერიოდში ჩადგა მწყობრში, სხვა ტიპისაა, ვიდრე ისინი, რომელნიც ფუნქციონირებენ. უნდა აღვნიშნო, რომ მათ მხოლოდ სამუზეუმო ექსპონატის ფუნქციის შესრულება ძალუძთ მხოლოდ და შეკეთება შეუძლებელია. ისინი საერთოდ უნდა შეიცვალოს.

**— თქვენ ბრძანეთ, რომ კავშირგაბმულობის სამინისტროს არანაირი შემოსავალი არ გააჩნია, გარდა მოსახლეობის მიერ გადახდილი თანხებისა. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, შემოღებულ იქნა ახალი წესი, რის თანახმად, დავალიანების გადაუხდელობის გამო აბონენტს ჩამოერთმევა ნომერი და იგი გაიყიდება. წაადგება თუ არა აქედან მიღებული შემოსავალი კავშირგაბმულობის სისტემას და ხომ არ იქნება ეს პროცედურა დანაშაულის ჩადენის კიდევ ახალი სფერო?**

— სიტუაცია ასეთია: უფასო კავშირგაბმულობა ბუნებაში არ არსებობს. საზღვარგარეთ წუთობრივი გადასახადი არსებობს მაშინაც კი, როცა სატელეფონო საუბარი ქალაქის მასშტაბითაა. ჩვენ, როდესაც ახალ სატელეფონო სადგურებს დავამონტაჟებთ, განვახორციელებთ იგივეს. თვრამეტი ათასი ნომრით გაფართოვდა ცხრიანი და ორიანი ატეესები. წლის ბოლომდე კიდევ ოთხი ათასი ნომერი დაიწყებს ფუნქციონირებას და როგორც ზემოთ აღვნიშნე, ყოველივე ამას დაემატება ოცდაათი ათასი ახალი ნომერი. ასე რომ, ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მივდივართ.

საქართველოში სატელეფონო ქსელის დატვირთვის კოეფიციენტი ძალზე მაღალია, ხალხი საათობით საუბრობს ტელეფონით და იგი ლამისაა გართობის ერთადერთ საშუალებად იქცა. ამას შეზღუდავს წუთობრივი გადასახადი, რომელიც უახლოეს მომავალში დაწესდება.

რაც შეეხება იმას, რომ დავალიანების გადაუხდელობის გამო ნომერი უნდა გაიყიდოს, ამას თავის გამართლება აქვს. თანხა, რომელიც აბონენტს დაუგროვდა და მას იგი არ იხდის, დაიფარება ამ გაყიდული ნომრისაგან შემოსული თანხით. კრიმინალური სფერო კი ყველა ქვეყანაშია და თუ დანაშაული ჩადენილი იქნება, საკადრისადაც დაისჯება დამნაშავე.

**— ბოლო პერიოდში საქართველოში ჩამოყალიბდა კავშირის ახალი სახეობა ე.წ. ელექტრონული ფოსტა, ეს კავშირი კომპიუტერული ქსელის მეშვეობით ხორციელდება და იგი მოსკოვის გავლით ახდენს საქართველოს დაკავშირებას დანარჩენ მსოფლიოსთან. ვინაიდან ეს კავშირი უფრო ინდივიდუალური და მრავალწახნაგოვანია, იბადება ასეთი კითხვები: რატომ მაინცდამაინც მოსკოვის გავლით ხდება ეს კავშირი? და ხომ არ არის შესაძლებელი მოხდეს სახელმწიფო და ეკონომიკური ინფორმაციის გაჟონვა?**

— ის არის ინტერნეტი. არსებობს ამ ინტერნეტების ცენტრები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში: ამერიკაში, ევროპაში, თურქეთსა და მოსკოვში. ჩვენთან ამ ელექტროფოსტის მომსახურეობას რამოდენიმე ორგანიზაცია აწარმოებს: ინფორკომი ჩვენს სტრუქტურაშია, იგი გადის მოსკოვის ცენტრზე და დაინტერესება მხოლოდ იმაშია, რომ ფასებია შედარებით დაბალი. არსებობს ფირმა „მიმოზი", იგი ამერიკას უკავშირდება თანამგზავრული არხებით. ჩვენ კარგა ხანია გვაქვს საკუთარი საერთაშორისო ცენტრი, რომელიც ფირმა „სიმენსმა" ააშენა და მისი საშუალებით გავდივართ ამერიკაში, ევროპაში: იტალია, ინგლისი, თურქეთში. იხსნება ხაზი საქართველო-საბერძნეთი, საქართველო-გერმანია. ასე რომ, მოსკოვის გარეშეც არის საშუალება მსოფლიოსთან კავშირისა. რაც შეეხება ინფორმაციის გასვლას, ეგ უკვე სხვა სფეროს ეხება და კავშირის ბოროტად გამოყენება ყველა ქვეყანაში შესაძლებელია.

**— საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში. რა მდგომარეობაა კავშირგაბმულობის სფეროში?**

— უნდა აღვნიშნოთ, რომ ცხინვალის რეგიონში ყველაფერი აღსდგა, შეიძლება ითქვას, რომ სიტუაცია ნორმალიზებისაკენ მიდის. ცხინვალის კავშირი მსოფლიოს ყველა რეგიონთან თბილისის გავლით ხდება. რაც შეეხება აფხაზეთს, აქ სიტუაცია უფრო რთულდება. იყო პროტესტი, ელცინის განკარგულება, შევარდნაძე - ელცინის შეთანხმება იმის თაობაზე, რომ აფხაზეთი საქართველოს ტერიტორიიდან, კერძოდ თბილისიდან, უნდა დაკავშირებოდა მსოფლიოს, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა. იყო ექსესი არხი, რომელიც აფხაზეთს სოჭით [illegible] აკავშირებდა უცხოეთთან, ჩვენ გამოვართვევინეთ. შემდგომ [illegible] ნილი ჩვენი [illegible] თის ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფს ყველაფერს. ამჟამად ოთხასამდე არხი აკავშირებს მათ სოჭთან. ეს, რა თქმა უნდა, არანაირ იურიდიულ ნორმებში არ ეტევა. თუ რუსეთი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს, მაშინ იგი თავისივე ქმედებით საწინააღმდეგოს ამტკიცებს იმით, რომ კავშირი აფხაზეთს უცხო ქვეყნის ტერიტორიიდან აქვს მსოფლიოსთან. მიუხედავად ჩვენი პროტესტისა, საქმე არ დაიძრა. ერთადერთი, რაც ჩვენ შეგვიძლია ის არის, რომ დავალიანება რუსეთისადმი, რომელიც 700 მილიონ მანეთს შეადგენს, არ ვიხდით, თუ ეს საქმეს უშველის.

**— რას იტყოდით საფოსტო სამსახურის შესახებ?**

— საფოსტო სამსახური ეს ძირითადად ამანათების მიმოსვლა და ფულის გადარიცხვები იყო. ეს სისტემა სრულიად მოიშალა და ძირითადად იმ მიზეზების გამო, რასაც კავშირგაბმულობის სამინისტრო ვერ აკონტროლებს. რეგულარული არ არის რკინიგზის ტრანსპორტის მოძრაობა, ბანკები ვერ აწარმოებენ გადარიცხვებს და ყოველივე ამის გამო საფოსტო სამსახური არ ფუნქციონირებს.

**— თქვენ ტელეკომის გენერალური დირექტორი ბრძანდებით. რას იტყოდით ამ ორგანიზაციის შესახებ. რა პერსპექტივები აქვს მას და რა კეთდება დღეს, რა გაკეთდება ხვალ?**

— საქართველოს ტელეკომი ეს არის კომპანია, რომელიც ახორციელებს საერთაშორისო კავშირებს. ეს არის ერთობლივი საწარმო, სადაც ქართული მხარე სახელმწიფო სტრუქტურაა. უცხოეთის მხარე კი კერძოა. რაც შეეხება ჩემს გენერალურ დირექტორობას, ეს ჩემთვის ზედმეტი თავის ტკივილია მხოლოდ. ისე კი, უცხოელების დაინტერესება საკმაოდ დიდია ამ ბოლო პერიოდში. ფირმა „სიმენსმა" თხუთმეტი მილიონი დოლარი ჩადო ამ სფეროში ჩვენთან, ამერიკელები ოცდაათ მილიონიან თითქმის უპროცენტო სესხს იძლევიან, ასე რომ, იმედები დიდია იმისა, რომ უახლოეს მომავალში ჩვენი სისტემა სრულყოფილი იქნება.

**ანა ჯუღელი**

# «ჯავახკას» სომხური, ანტიქართული, აგრესიული შოვინიზმი და ა.შახატუნიანის «მეცნიერული აღმოჩენები»

**მიმდინარე** წლის ივნისში, სომხეთის პრეზიდენტს ლევონ ტერ პეტროსიანს საქართველოში ოფიციალური ვიზიტის დროს, ახალქალაქში დახვდნენ ტრანსპარანტებით აღჭურვილი — „მოვითხოვთ ჯავახეთის განსაკუთრებულ სტატუსს!" — მოძრაობა „ჯავახკის" წარმომადგენლები. სამცხე-ჯავახეთის საზოგადოებასთან შეხვედრისას კი შოვინისტური ანტიქართული ორგანიზაციის „ჯავახკის" ერთ-ერთ წარმომადგენელს ვიღაც აკოფიანს ფართო აუდიტორიის წინაშე გამოსვლის შესაძლებლობაც მისცეს, რომელმაც ვრცელი, უტაქტო და თავხედური, მოთხოვნები წაუყენა საქართველოს. უსაფუძვლო სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ საკითხებთან ერთად აკოფიანმა დააყენა ბორჯომის რაიონის სოფელ ტაბაწყურის ახალქალაქთან (შემდეგ შესაძლოა ალბათ ჭიხარულიისა და ბალკანთის) ახალქალაქთან მიერთების საკითხი. ქართველებისათვის ყველაზე აღმაშფოთებელი კი ის იყო, რომ „ჯავახკას" წარმომადგენლებმა ჯავახეთის რეგიონში სტიქიური უბედურების გამო აჭარიდან ჩასახლებულ ქართველთა იქ შემდგომში ცხოვრების მიზანშეწონილობის საკითხიც კი დასვეს. მოსალოდნელია, რომ დღევანდელი ხელისუფლების უპრინციპობითა და ყოვლად გაუმართლებელი დათმობებით, მსოფლიოში გამოჩენილი პოლიტიკოსის ედუარდ შევარდნაძის ახალქალაქში უცხო ენაზე, ხოლო ლევონ ტერ პეტროსიანის სომხურ ენაზე გამოსვლით გათამამებულმა ჯავახეთის ზოგიერთმა სომეხმა შოვინისტმა მალე ახალქალაქის რაიონის ისტორიული ძირძველი ქართული სოფლების დაცლა მოითხოვოს.

სამწუხაროდ, ამ ანტიქართული ორგანიზაციის — „ჯავახკას" მოთხოვნები ახალი არაა — ძველია. იგი ნასესხებია სომხური შოვინისტური მოძრაობებისა და მიმდინარეობების, განსაკუთრებით კი „დაშნაკცუთიონის" პარტიის სამოქმედო პროგრამიდან. ამ პარტიას კი თავისი ადგილობრივი ორგანიზაციები აქვს მსოფლიოს იმ ქვეყნებში, სადაც კი სომხური დიასპორაა, შექმნილი აქვს ფარული შეიარაღებული სტრუქტურები. საფიქრებელია, რომ „ჯავახკა" ფაქტობრივად ლეგალურად მოქმედი „დაშნაკცუთიონის" პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციაა და სომხეთიდან იმართება.

საქართველოში შემოხიზნული სომხების, უმთავრესად კი სომეხ ვაჭარ-კომერსანტთა, სასულიერო წრეების, ულტრაშოვინისტური ინტელიგენციის ანტიქართული იდეოლოგია და პრაქტიკა განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა XX საუკუნის დასაწყისში, ამიერკავკასიაში საერობო მმართველობის შემოღებასთან დაკავშირებით. ივანე ჯავახიშვილი სამართლიანად წერდა: „სომხებმა დაივიწყეს, რომ ისინი ჯავახეთში ოსმალეთითგან მოვიდნენ მხოლოდ ვითარცა ლტოლვილნი, რომ სრულებით შემთხვევით ამ უძველეს დროითგან საქართველოს უცილებელს კუთხეში ისინი უმრავლესობად იქცნენ და გარემოებისდა მიუხედავად მაინც ახალქალაქის მაზრაც სომხეთის მიწაწყლად გამოაცხადეს" (იხ. ი.ჯავახიშვილი, პ.სურგულაძე, პროფ. ლისტი. ისტორიული რარიტეტები თბ., 1989, გვ. 49).

ახალქალაქის მაზრა სომხეთს რომ მიერთებოდა, მათ მისი თბილისის გუბერნიიდან ანუ აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრებიდან გამოყოფა მოითხოვეს, რათა დანარჩენ სომხურ მაზრებთან შეეერთებინათ და ამ გზით ერთი მთლიანი სომხური საერობო თვითმმართველი ოლქი შეექმნათ. სომხებმა ეს დააყენეს 1913 წელს, როდესაც კავკასიაში მეფისნაცვლად სომხთა მფარველი ვორონცოვ-დაშკოვი იყო.

> **მიმართვა საქართველოში მცხოვრები სომხებისადმი**
>
> **„რა სირთულეებსაც უნდა განიცდიდეთ, მოდით, ვიყოთ გულახდილნი: დამისახელეთ მსოფლიოში თუნდაც ერთი სახელმწიფო, იქნება ეს ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც მილიონი სომეხი ცხოვრობს, საფრანგეთი, იქ მცხოვრები 400 ათასი სომხით, სირია, ირანი, ერაყი, ლიბანი, არგენტინა, ან თუნდაც რუსეთი, შუა აზია... დამისახელეთ საქართველოს მსგავსი სხვა ქვეყანა, სადაც სომხურ თემს ჰქონდეს ორასზე მეტი სომხური სკოლა, და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეკლესიები, თეატრი, გაზეთი, ჰყავდეს დეპუტატები. ასეთი ქვეყანა არ არსებობს... ჩვენმა ხალხებმა უნდა შეძლონ, რომ საკადრისი პასუხი გასცენ უპასუხისმგებლო ადამიანებს, რადგან ნებისმიერი სომეხი, რომელიც საქართველოს წინააღმდეგია, უწინარეს ყოვლისა, არის არა ქართველთა, არამედ სომეხთა მტერი, და ანალოგიურად . სომხეთის მოწინააღმდეგე ნებისმიერი ქართველი, უწინარეს ყოვლისა, თვით ქართველი ხალხის მტერია".**
>
> **ლევონ ტერ პეტროსიანი**

სომხებმა თითქოს და სამართლიანი და ობიექტური მოსაზრების გამო საბუთად ისიც კი წამოაყენეს, რომ ვითომც ჯავახეთი ეკონომიკურად თბილისის გუბერნიასთან კი არა, არამედ გუმბრთან (ალექსანდროპოლთან) ყოფილიყოს დაკავშირებული.

კავკასიის მეფისნაცვლის, ვორონცოვ-დაშკოვის ბრძანებით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა თბილისის გუბერნიიდან ახალქალაქის მაზრის გამოყოფისა და გუმბრთან შეერთების მიზანშეწონილობის საკითხი. კომისიამ ერთხმად უარყო ახალქალაქის მაზრის თბილისის გუბერნიისაგან ჩამოშორება და გუმბრთან მიერთება. კომისია ამ კუთხის ეკონომიკურსა და მიმოსვლის საკითხსაც შეეხო და დაადგინა: მცდარია აზრი, ვითომც ახალქალაქის მაზრა ქ.გუმბრთან ყოფილიყოს დაკავშირებული. მთელი ვაჭრობა და ყველა საჭირბოროტო ინტერესები მცხოვრებლებს განსაკუთრებით თბილისთან აერთებს. ამასთანავე ვაჭრობა და ეკონომიკური ურთიერთობა მთელი წლის განმავლობაში წარმოებს ახალციხე-ბორჯომი-ბაკურიანის გზით, აგრეთვე როდიონოვკა-წალკა-მანგლისზე მოკლე, პირდაპირი გზით, რომელიც ზამთარშიაც კი არ იკვრება ხოლმე. გუმბრთან ზამთარში ნალექების, ხოლო გაზაფხულზე წყალდიდობის და ტალახის გამო მთელი თვეობით ყოველგვარი კავშირი მთლიანად გაწყვეტილია ხოლმე. ზაფხულშიც კი, როდესაც გუმბრის გზა გახსნილია, მთელი სავაჭრო საქონელი ახალქალაქიდან მაინც ახალციხეზე და ბაკურიანზე მიდის.

1915 წელს პეტერბურგში, სრულიად სომხეთის კათალიკოსის ინიციატივით, ჩატარდა სომხეთის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების ყრილობა, რომელმაც აირჩია „დიდი სომხეთის" აღდგენისათვის ბრძოლის ცენტრალური (მთავარი) კომიტეტი. კომიტეტმა მოწოდებით მიმართა ოსმალეთისა და სხვა ქვეყნების სომხურ დიასპორას, რომ გააქტიურებინათ „დიდი სომხეთის" აღდგენისათვის ბრძოლა. სომხეთის ძველი ისტორიული საზღვრებით ე.წ. „დიდი სომხეთის" აღდგენის სამოქმედო ცენტრად კომიტეტმა თბილისი აირჩია (იხ. „სამშობლო", 1916, 11 მარტი).

ამ მოწოდებით მართლაც „გააქტიურდა" საქართველოს სომხური დიასპორა. მიუხედავად იმისა, რომ 1913 წელს ახალქალაქის მაზრის გუმბრთან მიერთების იდეამ მარცხი განიცადა, შოვინისტ სომეხთა ერთი ნაწილი კვლავაც საერობო მმართველობის შემოღებასთან დაკავშირებით, 1915-1917 წლებში მეფის მთავრობის მიერ მოწვეულ თათბირებზე, დაჟინებით მოითხოვდა თბილისის გუბერნიიდან ახალქალაქის მთელი მაზრისა და ბორჩალოს მაზრის ნაწილის (ლორე) გამოყოფასა და ერევნის გუბერნიის გუმბრის მაზრასთან მიერთებას. 1916 წლის მაისში კავკასიის უმაღლესი მთავრობის მიერ ჩატარებულ საერობო თათბირზე სომხები (ვ.ვართანიანცი, გ.თუმანოვი, მ.ბერბეროვი, ვ.ვართანიანცი, ხ.ვერმიშევი, ა.საკოვა და სხვ.) ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ დაყოფას (გუბერნიებად და მაზრებად) არაბუნებრივად მიიჩნევდნენ და მოითხოვდნენ, რომ საერობო მმართველობა მოწყობილიყო ისე, რომ ერთგვარი ყოფილიყო ეკონომიურადაც, გეოგრაფიულ-კლიმატურად და ეთნოგრაფიულადაც. ისინი ამტკიცებდნენ, რომ სამაზრო ერთობების ნაცვლად უნდა შემოღებულიყო ერობა ეროვნული და სააგრონომო რაიონების მიხედვით. სომხების ამ ეროვნულ-აგრონომიული გეგმით თბილისის გუბერნიიდან გამოყოფილი ახალქალაქის მაზრისა და ბორჩალოს მაზრის ნაწილის (ლორე) გაერთიანებით იქმნებოდა განსაკუთრებული

გაგრძელება მე-8 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანგული პრესიდან

# პატარა უფლისწულის ვნებანი



დღესაც ბევრს ახსოვს უკანასკნელი იმპერატორის, ჩინეთის ტახტის ახალგაზრდა მემკვიდრის სავალალო ბედი, რომელიც, მისდაუნებურად, გაიხლართა იმპერატორის კარის ინტრიგებისა და ქიშპობის ბადეში. ეს დიდი იმპერიის დაცემის წლები იყო. პრინცესა დიანას სატელევიზიო აღსარების შემდეგ, ბევრი ინგლისელი მიმომხილველი, კიდევ ერთხელ, შეშფოთებით ჩაუფიქრდა ახალგაზრდა პრინც უილიამის ბედს: ნუთუ მასაც ასეთივე მომავალი ელის? ბავშვი, რომელსაც იმთავითვე მომავალ მეფედ ზრდიდნენ, ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება, ათწლეულების მანძილზე დაცემის გზაზე დამდგარი სისტემის უკანასკნელი წარმომადგენელი გახდეს. ამის მიზეზი კი მისი მშობლების კრახი იქნება. ინგლისში არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ პრინც ჩარლზისა და მისი მეუღლის საჯარო შეხლა-შემოხლა დღის წესრიგში აყენებს თვით მონარქიის ყოფნა-არყოფნის საკითხს. რაც უფრო მეტად სუსტდება დიანას განცხადებათა ეფექტი, მით უფრო მეტად საცნაური ხდება, რომ ცოლ-ქმრული შეხლა-შემოხლის ჭეშმარიტი მსხვერპლი ჩარლზი ან დიანა კი არ იქნებიან, არამედ მათი უფროსი ვაჟიშვილი უილიამი. სამეფო ოჯახის წიაღში ამტყდარი შფოთი შექსპირის ტრაგედიების უხამს პაროდიას წააგავს. 13 წლის ყმაწვილი, რომელიც იტონის ცნობილ კოლეჯში, სამეფო კარიერისთვის მზადებას იწყებს, არნახული სიმძიმის ფსიქოლოგიური სტრესის მსხვერპლი აღმოჩნდა. მშობლების საჯარო აღსარებების სავალალო ფსიქოლოგიური შედეგები ყველასთვის აშკარაა: ერთ დროს მხიარული და დაუდგრომელი ბავშვი, ახლა, ოჯახური უსიამოვნებებით გულდამძიმებული, საკუთარ ნაჭუჭში ჩაიკეტა, სიტყვამძიმე და უგუნებო გახდა. სასკოლო წარმატებებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია — ბავშვმა გული აიცრუა სწავლაზე. როდესაც დედამ ამცნო, რომ ოფიციალურად შორდებოდა მეუღლეს, უილიამს ცრემლები წასკდა, მაშინ როცა, მისმა უმცროსმა ძმამ, ჰარიმ, წარბიც არ შეიხარა და არაფრით გაამჟღავნა საკუთარი განწყობა. ერთხანობა ახალგაზრდა პრინცმა „თეთრი რაინდის“ როლი იკისრა და დედის აუგად მომხსენებელ ჟურნალისტებს საპატიმროში გამოკეტვით დაემუქრა. ცოტა ხნის შემდეგ, პრინცის პოზიცია შეიცვალა, იგი უფრო მოზომილი და გაწონასწორებული გახდა. ერთ დღეს, როდესაც დაიანამ ჩარლზის ქედმაღლობაზე ჩამოაგდო სიტყვა, უილიამმა დედას შეახსენა, რომ მან მამისგან მემკვიდრეობით მიიღო მისი ქედმაღლობა და ამიერიდან დედას, სანამ რაიმეს იტყოდეს, დაფიქრება მართებს.

ეს ყმაწვილური კრიზისის პირველი შედეგებია. ბრიტანელი ფსიქოლოგები თვლიან, რომ დიანას და ჩარლზს, სანამ საკუთარ სულიერ მდგომარეობას სამზეოზე გამოიტანდნენ, უნდა ეფიქრათ იმაზე, თუ როგორ იმოქმედებდა ეს მათ ვაჟიშვილზე. „13 წლის ასაკში ყმაწვილი საკუთარ სამყაროს ულრმავდება, მისთვის მთავარი მისივე ego“ („მე“) ხდება, მაგრამ მშობლებს მსგავს ქცევას არ აპატიებს. როდესაც დიანა აცხადებს, რომ ფეხმძიმობის პირველივე დღეებში იგრძნო თვითმკვლელობისკენ სწრაფვა, ამით, იგი ბავშვს აფიქრებინებს, რომ მისი დაბადება არც თუ ისე სასურველი და ნანატრი მოვლენა იყო დედისთვის. ამით იგი ვნებას აყენებს დედის იდეალიზირებულ ხატს, რომელსაც ყოველი ბავშვი ატარებს სულის სიღრმეში. რაც შეეხება ვაჟს, დედისადმი ასეთი მიმართება, შეიძლება, საერთოდ ქალისადმი სიძულვილში გადაიზარდოს. დაბოლოს, მამის შეურაცხყოფა მძიმედ მოქმედებს ვაჟიშვილზე, რომლისთვისაც მამის პოზიტიური ხატის არსებობა აუცილებელი პირობაა მისი პიროვნების ჰარმონიული განვითარებისთვის“ — აღნიშნავს ერთ-ერთი ანალიტიკოსი. უილიამის დეპრესიას კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს ჩარლზის განცხადება, რომ ქორწინება მას თავს მოახვიეს და რომ, მისი ნება რომ ყოფილიყო, კამილა პარკერბოულს შეირთავდა, იმ ერთადერთ ქალს, რომელიც კი ოდესმე ყვარებია. და აი, ყმაწვილი პრინცი, თავისი ცხოვრების გარდამტეხ წუთებში, აღმოჩნდა მშობლების წინაშე, რომლებიც ქვეცნობიერად უმტკიცებენ მას, რომ მისი დაბადება განსაკუთრებით საშინელი და საბედისწერო მოვლენების შემთხვევითი შედეგია. ისიც სათქმელია, რომ „ელიტარული მშობლები“, „უბრალო ადამიანებივით“ კინკლაობენ: მამას სხვა ქალი უყვარს, დედას კი გაყრა არ უნდა. თუკი მამა დედაზეა შემომწყრალი, ან პირიქით, დედა უბრაზდება მამას, ჩხუბი და კამათი ყველამ უნდა გაიგოს, ჭუჭყიანი სარეცხი მილიონობით ტელემაყურებელთა თვალწინ ირეცხება.

სხვა მხრივ, უილიამის ცხოვრება არაფრით განსხვავდება მაღალი წრის ოჯახების მემკვიდრეთა ცხოვრებისგან, რომელთა მშობლებმაც ცალ-ცალკე დიიდეს ბინა (უფრო ზუსტად, ბინა კი არა, სასახლე ან ციხე-დარბაზი) „ხასიათთა შეუთანხმებლობისა გამო“. სცენარი აქაც და იქაც ერთი და იგივეა: მშობლები არაფერს იშურებენ, რათა თავის ბანაკში გადაიბირონ შვილები. სხვათა შორის, საქმე შეიძლება, სულ ასე ცუდად არ ყოფილიყო, თუ არა კოლეჯი, სადაც უილიამს მუდამ თან სდევს თანაკლასელთა ქირქილი და მითქმა-მოთქმა: მამა მასზე ასაკოვან ქალს ეკურკურება, დედას კი საყვარლად ხან რეგბისტი ჰყავს, ხან კი ცხენოსნობის მასწავლებელი ან მანქანებით მოვაჭრე.

ცხენოსნობის მასწავლებელს რაც შეეხება, უილიამი მას ძალიან კარგად იცნობს: იგი მისი მასწავლებელი იყო, სანამ დედამ არ მოიხელთა ერთდროულად მასწავლებლად და საყვარლად. ახლა, როცა დიანა აცხადებს, რომ მხოლოდ ბავშვების გამო არ ეყრება ქმარს, უილიამს ისღა დარჩენია, რომ იცინოს ან იტიროს. და ის მართლაც ტირის, თუმცა ყველასგან ფარულად, თავის პატარა ოთახში გამოკეტილი. მან კარგად იცის, რომ დედას ერთი აზრი უტრიალებს თავში: არ მისცეს საშუალება ჩარლზს ცოლად მოიყვანოს კამილა. ის წყეული სატელევიზიო გადაცემაც ამ მიზანს ემსახურებოდა: დიანამ გადაწყვეტილება ოქტომბრის თვეში მიიღო, როდესაც ჟურნალში ნახა თითქმის ოფიციალური ფოტოსურათი, რომელზედაც აღბეჭდილი იყვნენ ჩარლზი და დიანას მეტოქე. ჩარლზი და კამილა ერთ-ერთი წვეულების სტუმრები იყვნენ და მათ დანახვაზე, დამსწრეთ ერთი და იგივე აზრი გაუჩნდათ: „თუ კი ტახტის მემკვიდრე კამილასთან ურთიერთობას არ მალავს, ეს იმის ნიშანია, რომ იგი მალე დატოვებს დიანას და კამილას მოიყვანს ცოლად“. დიანამ ისიც შეიტყო, რომ დედოფალმა სანდრინჰემში მიიწვია კამილა. იმასაც ამბობდნენ, რომ კამილა შობის დღესასწაულზეც დედოფლის სტუმარი იქნებოდა. ეს კი უკვე მეტისმეტი იყო: „დედოფალმა, ასეა თუ ისე, ცოტა გადაამლაშა. სანდრინჰემში მიწვევა იმას ნიშნავს, რომ ჩაკეტილი და მცირერიცხოვანი კლუბის წევრი ხდები. ეს კლუბი კი სამეფო ოჯახია. აი, სწორედ მაშინ იფეთქა დიანამ, რომელსაც უკვე დიდი ხანია აღარ იწვევდნენ სანდრინჰემში. სწორედ იმ დღეს გადაწყვიტა მან ხმამაღლა ეთქვა სათქმელი და მსოფლიოსთვის ემცნო, რომ არ აპირებს გაეყაროს ქმარს. დიანას ღრმად სწამს, რომ თუკი მონარქიის ბედს მას მიანდობენ, იგი იხსნის დაღუპვისგან ოჯახსაც, გვირგვინსაც, სამეფო პრივილეგიებსაც და საგვარეულო ძვირფასეულობასაც კი. ამ ცოტა ხნის წინ მან თავის ერთ მეგობარს გაანდო საიდუმლო: „მე რომ ვწერდე სცენარს, ყოველივეს ადვილად მოვუვლიდი — ჩემს მეუღლეს თავის საყვარელს მივაბარებ. ჩემს ვაჟებს კი ვასწავლი ღირსეულად ატარონ საკუთარი სახელი, მანამ, სანამ უილიამი გამეფდება. მერე კი, სიკვდილამდე, ჩემი ვაჟის გვერდით ვიქნები“.

ჩარლზი კი აცხადებს, რომ მას არ სურს „ამ ქალის“ გვერდით ცხოვრება. როგორც ეტყობა, ჩარლზს შეუძლია, განქორწინების შემდეგ, შეირთოს კამილა და მიუხედავად ამისა, მაინც გამეფდეს. რა თქმა უნდა, განქორწინება ყველაზე კარგი გამოსავალია, მაგრამ ჩარლზმა ერის აზრი უნდა გაითვალისწინოს. თუ ეს არ გააკეთა, მეფობას ვერ ეღირსება. მაგრამ, აი ერი ჩარლზს არცთუ ისე წყალობს. მაგრამ უილიამს დედაც ისევე უყვარს, როგორც მამა და არ აპირებს მისი კუთვნილი ადგილი დაიკავოს. ამ ზაფხულს, ბალმორალის სასახლეში, როცა უილიამმა კოპებშეკრული, კუშტი მამა დაინახა, წამსვე ველოსიპედს თავი ანება, მამასთან მივიდა და უთხრა: „მე მსურს, რომ შენ მეფე იყო“. მამას ამ სიტყვებმა ჯერ გაოცება, მერე კი სიამაყე მოგვარა. მაგრამ დედა ყველაფერს ცდილობს, რათა მამას ხელი შეუშალოს და ტახტს ჩამოაშოროს. ამიტომაც ასეთი ბრაზით ლაპარაკობს მამასა და კამილაზე და იმუქრება, რომ კიდევ ბევრს იტყვის მომავალ სატელევიზიო გადაცემებში. მაგრამ ხმები დაირხა, რომ დედოფალი აქტიურად ჩაერია მოვლენათა მსვლელობაში და სატელევიზიო გადაცემები სათუო გახდა. დიანა სულ უფრო და უფრო ეძალება წამლებს, იგი ბევრს კითხულობს სულიერ დაავადებათა შესახებ (ოჯახური ბოროტი ენები ამტკიცებენ, რომ დიანას პარანოია ჭირს) და განსაკუთრებით აინტერესებს ზიგმუნდ ფროიდის ნაშრომები.

წარმოიდგინეთ, საღამო ხანს, სალოცავად მუხლმოდრეკილი ყმაწვილი პრინცი, რომელიც ღმერთს შესთხოვს როგორმე მოაგვაროს მისი ოჯახის აწეწილ-დაწეწილი საქმეები, დაეხმაროს მას, თავი დააღწიოს ამ ჯოჯოხეთს. გამოსავალი ერთია: უილიამმა საკუთარი ნებით უნდა ააწყოს საკუთარი ცხოვრება, იგი თვით უნდა გახდეს საკუთარი როლის ავტორი. სცენაზე გამოვა ყმაწვილი კაცი, რომელსაც აღარ გასტანჯავს ოჯახური ქარტეხილი, ცოლქმრული ღალატი, სამეფო კარის ინტრიგები და ჟურნალისტთა ბილწსიტყვაობა. და ყმაწვილი იგი იქნება ნაზი, მოყვარული, ცოტაოდენ პოეტური და მეოცნებე, ე.ი. ისეთი, როგორიც იგი დღეს არ არის. პიესას კი ასეთი სახელწოდება ექნება:

„უფლისწული, რომელმაც არ ისურვა მეფობა“.

ირენ ფრენი
(„პარი მატჩი“)

ფრანგულიდან თარგმნა
გიორგი ეკიზაშვილმა



პრესკონფერენცია

## «სანამ პავლე მოვიდა, პეტრეს ტყავი გააძვრეს»

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შტაბ-ბინაში, მორიგი პრესკონფერენცია გაიმართა, რომელიც ჩეჩნეთის და ჩეჩენი ხალხის მხარდაჭერას გამოხატავდა.

**— „ვადასტურებთ, რა ჩვენს ერთგულებას ერთა თვითგამორკვევის, წმინდათაწმინდა უფლებისადმი, სოლიდარობასა და თანადგომას ვუცხადებთ თავისუფლების მოყვარე გმირი ჩეჩენი ერის თავგანწირულ ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ჩვენ უკიდურესი აღშფოთებით ვგმობთ რუსეთის დანაშაულებრივ და კაცთმოძულე სისხლიან პოლიტიკას მცირერიცხოვანი ჩეჩენი ერის მიმართ“** — ამ სიტყვებით იწყება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ გაერთიანებათა საგანგებო მიმართვის ტექსტი, რომელიც გაუგზავნეს მსოფლიოს ყველა ქვეყნის სახელმწიფოს მეთაურებს და მთავრობებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, კეთილი ნების ადამიანებს და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. ეს მიმართვა პრესკონფერენციის დასაწყისში გაგვაცნო ი.წერეთელმა. მას 18 პარტია აწერს ხელს.

ი.წერეთელმა ისაუბრა შატილიდან არგუნამდე საავტომობილო გზის გაყვანის საკითხებზე. აღნიშნა, რომ ეს იდეა ჩეჩნეთის მხარეს ეკუთვნის, რის ხარჯებსაც თვითონ გაიღებენ.

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობას შესთავაზეს, ჩეჩნეთის რესპუბლიკის იჩქერიის წარმომადგენლობის გახსნა თბილისში.

არანაკლებ ორიგინალური აზრია, კავკასიური ქვეყნების ინტერპარტიული გაერთიანების შექმნა, რომლის დედაქალაქი თბილისი გახდება.

პრესკონფერენციაზე წაკითხულ იქნა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ გაერთიანებათა მიმართვა ჩეჩენი ხალხისადმი:

— „მიუხედავად ჩვენი საერთო უბედურებებისა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ჩეჩენი ეროვნების ადამიანთა ერთმა ჯგუფმა ქართველების სისხლი დაღვარა საქართველოს წმინდა მიწა-წყალზე აფხაზეთში, ჩვენ მტკიცედ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მომავალი ურთიერთობა განვითარდება, როგორც ძმებისა და თანამებრძოლებისა

მთელი არსებით გისურვებთ გამარჯვებას!“

ჟურნალისტის შეკითხვა: — **შატილიდან არგუნამდე საავტომობილო გზის გაყვანა რაიმე საშიშროებას ხომ არ შეუქმნის და გეშინიათ თუ არა ამის?**

— თუ მთავრობამ დადგენილება გამოიტანა, ჯარი ჩააყენა და ომის დაწყებაც მოგვიხდა, ამ შემთხვევაში გზის გულისათვის ომს ხომ არ დავიწყებთ. მაგრამ თუ თვითონ არ დააფინანსებს ამ გზას, ჩვენ ნუ შეგვიშლიან ხელს. თუ ჩეჩნეთი გამოგვიყოფს იმ თანხას, რაც მათ დაასახელეს, მაშინ შეუძლიათ ჩემი შტაბ-ბინიდან გაიყვანონ გზა, — დასძინა ი.წერეთელმა.

პრესკონფერენციის დასასრულ, მომავალი არჩევნების პროგნოზებზეც ითქვა:

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩეჩნეთში ამ წლის ბოლოსთვის სიტუაცია გაირკვევა, და თუ ჩვენს ხელისუფლებაში მოსვლამდე არაფერი შეიცვალა, ეს იმას გავს, რომ „სანამ პავლე მოვიდა, პეტრეს ტყავი გააძვრესო“, და თუ ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში, ჩეჩნეთს დამოუკიდებლობის საკითხში პრობლემა არ ექნება, — ბრძანა თავმჯდომარემ.

ი. ბუკოვსკაია

# იუმორის გვერდი — წუთშესვენება



არც რა მიშველა ტირილმა,
არცა ცრემლების დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა.

# კურიოზები

### დღევანდელი ნომრის სტუმარია საქართველოს სახალხო არტისტი ბორის წიფურია



## „საბრალდებო დასკვნა“

**დუშეთში** იდგმებოდა „საბრალდებო დასკვნა“, ჩემი ჭიჭიკო გოგოლი იმ პერიოდშივე ძალიან პოპულარული გახდა. მაშინ სხვადასხვა თეატრებში იდგმებოდა ეს ნაწარმოები და ამ როლის სათამაშოდ არაერთხელ გვქონია მიწვევა. ამჯერად დუშეთის თეატრმა მიმიწვია. იქ, ხომ იცით, თვითმოქმედი დასია და მოკლედ, თავიდან ბოლომდე რეპეტიცია ვერ გავიარეთ. სალამოს სპექტაკლია. ჰოდა, ზედამხედველს თამაშობს ნამდვილი მილიციონერი. მგონი ეროვნებით ოსი უნდა ყოფილიყო. იქ ერთი ასეთი სცენაა: როდესაც გავლახავდი გამცემლიძეს, ვიძახებ ზედამხედველს და ვინ გალახაო, როცა მეკითხება, ჩემი გალახულია მაგი-მეთქი — ვპასუხობ. ჰოდა, მოგივლი მე შენ გოგოლოვო, მეუბნება ზედამხედველი და მივყავარ კარცერში. მაგრამ ამ სცენაში, მე ჩემი იმპროვიზაციები მქონდა: მოგივლი შენო, როცა მეუბნება. მე ვპასუხობდი — შენ ჯერ ამას მოუარე და მერე მე წამიყვანე-მეთქი. ჰოდა, წავედით, წავედითო, როცა მპასუხობს, ჰოდა, წავედი ახლა მე ლებარდეში-მეთქი, ვიძახი. აი, ეს იყო ჩემი იმპროვიზაცია, მაგრამ რა იცოდა ამ ზედამხედველ-მილიციონერმა. შემოვარდა და... ვინ გალახა ესო — იყვირა. ჩემი გალახულია მაგი-მეთქი — ვუპასუხე. ჰოდა, მოგივლი მე შენო, გადამიგრიხა ხელები, გამიყვანა კულისებში. არა! — მე ვუთხარი, — სათქმელი მაქვს კიდევ. რა გაქვს სათქმელიო, — ჩხუბი დამიწყო. — არავითარი სათქმელი არ ვიცი მეო. მოკლედ, მე ვექაჩები სცენისკენ, მთელი სცენა მაქვს ჩასატარებელი, ის კიდევ ხელებს მიგრეხავს, ისეა როლში შეჭრილი. ამ შემთხვევაზე დღესაც იცინიან დუშელები, ისე „პროპკასავით“ გამაგდო სცენიდან...

## მოკლეტალღიანი რადიოგადამცემის ისტორია

**ერთხელ,** დასასვენებლად წავედით მე და ჩემი ძმაკაცი კუკური ნეფარიძე. ნელ-ნელა დავყევით, დავყევით და რიგაში ამოვყავით თავი. როცა მივდიოდით, ერთმა ჩვენმა მეგობარმა მოკლეტალღიანი რადიოგადამცემი გაგვატანა, გამოგადგებათო. ეს რადიოგადამცემი რა მოვალეობას გვისრულებდა, იცით? მაგალითად, გავიცანით გოგოები. ვზივართ რესტორანში. ეს გადამცემი პატარაა, თქვენი დიქტოფონივით, ვტოვებთ მაგიდაზე და მივდივარ. მანქანისკენ და მაგიდასთან რა საუბარიც გრძელდება, ის მესმის მოკლე ტალღაზე მანქანაში. ერთხელაც ასე გავშალეთ სუფრა და ორივენი გავედით. მე ვუსმენ, ერთი ეუბნება მეორეს: აი, ამ შამპანურს რომ დავლევთ, მერე მე მივალ ტელეფონთან, ვითომ სახლში უნდა დავრეკო და ვიტყვი, რომ დედა გამხდარა ავად, ჰოდა სახლში უნდა წავიდე, დაგტოვოთ-მეთქი. შენ მითხარი, მარტოს ხომ არ გაგიშვებ, მეც უნდა წამოგყვეო, და ასე წავიდეთ.

მოკლედ, მოვისმინე ეს ყველაფერი. დავბრუნდით, ავწიე პირველი ჭიქა და ვამბობ: აი, ჩვენ საყვარელი ადამიანები გვყავს, დედა, მამა. ერთ საათში დედათქვენი ცუდად გახდება, მარტო ხომ არ წახვალთ, დაქალიც წამოგყვებათ-მეთქი. ჰოდა, ეხლა აქედან დროზე მოუსვით და მიხედეთ დედებს, სანამ დროა-მეთქი.

მოკლედ, ასეთ რალაცეებს ჩავდიოდით, ვერთობოდით. ამასობაში ფული შემოგვეხარჯა. დაბრუნება კი არ გვინდა. ვფიქრობთ, ვის გამოვუგზავნოთ დეპეშა, რომ ფული მოგვაწოდოს. ამ დროს სასტუმროს ნომერზე გვესმის ბრახუნი. „Кто там?“ — ვიკითხეთ. „შალვა ვარ, ბიჭებო, შალვა“ მოგვესმა ყვირილი. გავაღეთ კარი და ჩვენი მეგობარი შალვა ისაკაძე გაგვეჩითა. შალვა იმხანად გამწვანების ტრესტის მმართველი იყო თბილისში. კარგი თანამდებობა იყო მაშინ. ვეკითხებით, ახლა, შალვას. რამდენი დღით ჩამოდი-მეთქი. ერთი ოთხი დღით ვარ ჩამოსული, აქ ბოტანიკურ ბაღში მაქვს რაღაც სამეცნიერო საქმეებიო. ჩვენ გაგვიხარდა, რომ ეს სამი დღე ნორმალურად შევჭამდით საჭმელს და სიხარულისგან აღარ ვიცოდით, რა გვექნა და ვეკითხები: შალვა, არ გშია-მეთქი? არა, ახალი ნასადილევი ვარო. აუ, რა ვქნათ ახლა, ვფიქრობ. თუ გინდათ, წამოდით ბოტანიკურ ბაღში, იქ ერთი ჩემი მეგობარი უნდა ვნახო და თან ბაღს დავათვალიერებთო. სადილი-მეთქი? სადილი? სადილი... სადმე ვისადილოთო. ვიფიქრე, ჯანდაბას, ბაღს კი არა, რას არ დავათვალიერებ-მეთქი. წავედით. დაგვხვდა იქ შალვას მეგობარი მეცნიერ-მუშაკი. მან ერთი სამასი სხვადასხვა ჯიშის კაქტუსი გვაჩვენა, ბოლოს რაღაც სამყურას „ზნაჩოკი“ გვაჩუქა, თავისი წიგნი გვაჩუქა იმ თავის ენაზე და გამოგვისტუმრა. არავითარი პურ-მარილი, ჩვენ რომ ვიცით, დახვედრა და ქეიფი. მოვდივართ უკან და შალვას ვეუბნები, გვშია და სადმე დავსხდეთ-მეთქი. ჰო, გზაზე აქ ძალიან დიდი რესტორნებია და ჯობია, სასტუმროში რომ მივალთ, იქ, ბუფეტში დავსხდეთო. ვაიმე! სასტუმრომდე 100 კმ-ია, რა ვქნა, რა მოვიფიქრო ისეთი, რომ პურ-მარილი ვაკისრებინო. კუკური, ვეუბნები ჩემს ძმაკაცს, როცა მანქანა ტყეში შევიდა. ერთ წუთს გააჩერე, მგონი შიმშილისაგან გული მერევა და გადავალ-მეთქი. გადავედი მანქანიდან და ეს ჩემი რადიოგადამცემიც თან წავიღე. ამოვეფარე მოშორებით ხეებს, გადავშალე შალვას საქაღალდეში აღმოჩენილი „კომუნისტის“ ახალი ნომერი და დათიკო ძიგუას ხმით დავიწყე „უკანასკნელი ცნობების“ კითხვა. ამასობაში კუკური მიხვდა, რასაც ვაპირებდი და მანქანაში ტალღა გაასწორა. ესმით: ლაპარაკობს თბილისი. თბილისის დროით ესა და ეს საათია. დღეს თბილისში ჩამოვიდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი. ინდირა განდიმ დაათვალიერა ქალაქის ღირსშესანიშნაობები და ა.შ. ა.შ. ამ დროს ყვირილი მესმის: ბორია! თბილისი დავიჭირე, თბილისი, მოდი!.. მე ვაგრძელებ. დღეს შედგა ალმასკომის რიგგარეშე პლენუმი. პლენუმმა დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა ალმასკომის თავმჯდომარე ესა და ეს. მის ადგილზე დაინიშნა მისი მოადგილე ესა და ეს. (გვარებს არ გისახელებთ შეგნებულად), ხოლო ალმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დაინიშნა გამწვანების ტრესტის მმართველი შალვა ისაკაძე. დედა!.. კივილი მესმის, მაგრამ რა კივილი... ბორია!!. მოდი!.. რა იყო, რა მოხდა-მეთქი. მომილოცეო. რა იყო-მეთქი. ალმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დავუნიშნივარო. კი მეუბნებოდნენ, კოორდინატები დაგვიტოვეო, მაგრამ რას წარმოვიდგენდიო. ბინას თუ მომცემო, ეს ჩემი ძმაკაცი ეკითხება, რას ლაპარაკობო, ოთხოთახიან ბინას მოგცემო. მე რამდენიანს მომცემ-მეთქი. შენ ოროთახიანს მოგცემო. გულში ვფიქრობ, ესე იგი, ჩემი დაწინაურებულია და „ორიანის“ მეტს ვერ იმეტებს-მეთქი. მე ვუთხარი, არ მინდა ეგ შენი ბინა, სადილი მაჭამე-მეთქი. სადაც გინდა, გააჩერეთო. გზადაგზა არც ერთი რესტორანი არ მოგვეწონა, თანაც უკვე თითქმის რიგაში ვიყავით და ვიფიქრე, ისევ ჯობია ნომერში შევუკვეთოთ, ეს ხვალ მაინც არაფრის მკისრებელია და, რაც დაგვრჩება, მაცივარში შევინახავთ და ხვალისთვისაც გამოგვადგება-მეთქი. ნომერში გავაშლევინეთ არნახული სუფრა. შალვა შუა სუფრიდან წამოდგა და განაცხადა: ახლა მე უნდა დავრეკო თბილისში და დავაზუსტო ჩემი დანიშვნის ამბავიო. მისცა შეკვეთა. მაშინვე გავედი და მორიგეს მოვახსნევინე. გადის ერთი, ორი, სამი საათი. გაგიჟდა შალვა, ეს რიგა თბილისთან დამეგობრებული ქალაქია, ადრე ათ წუთში გვაძლევდნენ შეკვეთას, ახლა რა დაემართათო. რამდენჯერაც მისცა შეკვეთა, იმდენჯერ მოვახსნევინე. ასე გაგრძელდა ორი დღე. ბოლოს გადაწყვიტა, რომ სასწრაფოდ გაფრინდეს თბილისში. ახლა ჩვენ არ გვინდა, რომ ასე გიჟივით ჩაფრინდეს და ვფიქრობ: რა ვქნათ, როგორ ვუთხრაათ. მოკლედ, გავისეირნოთ-მეთქი, ვუთხარი. გავედით ქალაქგარეთ. მე უკან ჩავწექი „სიდენიაზე“ და დავიწყე გადაცემა. „ლაპარაკობს ისრაელი“ (მაშინ ისრაელში ბევრი მიდიოდა სსრკ-დან და სსრკ-ში ამის საწინააღმდეგო პროპაგანდა იყო გაჩაღებული). „ლაპარაკობს ისრაელი“ (ვითომ ვიღაც ქართველი ლაპარაკობდა ისრაელიდან). ნუ დაუჯერებთ წერილებს, რომლებსაც აქვეყნებენ, თითქოს აქ ცუდი ცხოვრება იყოს. ეს არ არის მართალი, აქ ყველას ხელი მოემართა. ჩამოდით, ჩვენო მეგობრებო, და ერთი სათხოვარი მაქვს, როცა ჩამოხვალთ, თან წამოიყვანეთ ჩვენი ძმა და მეგობარი შალვა ისაკაძე“... შალვა გაშრა. გადმოიხედა უკან და ხედავს, რომ ეს გადამცემი ხელში მიჭირავს. მიყურა, მიყურა და მკითხა: არა ვარ მოადგილეო? არა, შალვა, გეხუმრეთ, მაგრამ მომავალი წინა გაქვს-მეთქი.



## სულმნათი ბელადი და დეიდა ვარდო

**ახლა** ჩემს თვალწინ დაბადებული ანეკდოტი მინდა მოგიყვეთ. ბორჯომში ვისვენებთ მე და ჩემი მეგობარი ბონდო ჯიქია. წამოდი, ბილიარდი ვითამაშოთ-მეთქი და შევედით ბორჯომის მე-4 სამმართველოს დასასვენებელი სახლის საბილიარდო დარბაზში. იქაურობა ბავშვებით დაგვხვდა გადატენილი. ვინ გითმობს ადგილს, ვინ გაქცევს ყურადღებას, და ვიფიქრეთ, ცოტა ხანს დავიცადოთ, ეგება ვინმემ ადგილი დაგვითმოს-მეთქი. ამ დროს შემოვარდა მარა რა შემოვარდა. სახელს ვერ ვიხსენებ, ან მარო ერქვა, ან ვარდო — მოხუცი ქალი, და რომ დაუცაცხანა ამ ბავშვებს, თქვენ რა გინდათ აქ, თქვე არ გასაზრდელებო, თქვენი ადგილი არ არის, აქ უფროსი ხალხი მოდისო (პათეტიურად დაამატა). მოკლედ, დასდევს ამ ბავშვებს და სწყევლის. როგორც გაირკვა, ეს ქალი ამ სანატორიუმში წესრიგის დამამყარებელი იყო. ჰოდა, უცებ, ერთმა ბავშვმა უთხრა, მარო (თუ ვარდო) დეიდაო, ჩვენს წყევლასა და ჩხუბსო, არა ჯობია, თქვენ რო სტალინს შეხვდით, ის მოგვიყვეთო? გაისუსა ყველა, ვაიი!.. შენი სახსენებელია ის სულმნათი ისა?! შე არ გასაზრდელოვო. რა შენი სახსენებელია ბელადი, ბიჭო!.. გადმოგვხედა და ჩვენც რომ დაგვინახა, ყურადღებით ვიყავით, „ჩართო“ და დაიწყო მოყოლა“ „სისხამი დილაა., ახალგაზრდა გოგო ვაარ და ვარდებსა ვრწყამ შლანგითა იმ სულმნათის დასასვენებელი სახლის ეზოშია. ამ დროს, დავინახე, კაცო, მომელანდა თუ მომეჩვენა, გავიხედე, კაცო, ფოსტლებში, თეთრ შარვალში, თეთრ კიტელშია, ეს ჩვენი სულმნათი არ დამდგომია თავზე? ბელადი!!! დილა მშვიდობისა, ვარდოო. ვაიი... მშვიდობის დილა გაგითენდეს ბელადო-მეთქი. როგორა ბრძანდლებით, ვარდოო. კარქათა ვაარ თქვენის წყალობით-მეთქი, გვიდგია სული, ბედნიერები ვაართ-მეთქი. ოჯახში ხომ კარქათა ბრძანდებითო. არა მიშავს რა, ცოტა დედაჩემი ვერ არის კარქა-მეთქი. თქვენ ხო კარქათა ხართ-მეთქი. მეც არა მიშავსო... — და გააბა ვარდომ მთელი დიალოგი. — ბოლოს მეუბნება ის სულმნათი ისა. არა გცხვენიაო, ვარდო, აბა, რას აკეთებო, რას ვაკეთებ ბელადო-მეთქი. აბა, როგორ შეიძლებაო, ასეთი დიდი ნაპორითაო, ამ ვარდების მორწყვა ამ ცივი წყლითო. აბა, შენ დაგასხას თავზე ვინმემ ცივი წყალი, კარგი იქნებაო? ბელადო, რავი, სუ ესე ვრწყავთ მეთქი. არა, ძირი უნდა მოურწყაო. დღეიდან ეგრე ვიზამ ბელადო, თქვენ გაიხარეთ, თქვენა, ეგ რო მასწავლეთ-მეთქი — ჰყვება, ქაქანებს, მოკლედ აღარ ჩერდება. და უცებ, ერთი ბუთხუზა ბიჭი ეუბნება: იცით რას გეტყვით, ვარდო დეიდაო? ამდენი, თქვენ რომ ილაპარაკეთ, ჟუკოვს არ ულაპარაკია სტალინთან. დავიხოცეთ სიცილით იმ პატარა ბუთხუზას ნათქვამზე...

## მე რომ ვფიქრობ, იმაში...

**ადრე** საქართველოში ზეიმების კასკადი იყო. შრომის თუ მეგობრობის, იუბილეები, დედის დღე, ამიერკავკასიის ხალხთა ზეიმები და ა.შ. ერთ-ერთი ასეთი იყო დასავლეთ საქართველოში რუხის ზეიმები. ეს იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხთა მეგობრობის ზეიმები. ამ დღესასწაულებზე აქცენტირებული იყო აფხაზეთისა და საქართველოს მეგობრობა. 8-ჯერ იყო რუხში ზეიმი. ამ დღესასწაულებში მონაწილეობას იღებდა, ცხადია, ახალგაზრდობა. ბავშვები ყოველთვის ყველაფერს ვერ აკეთებდნენ ისე, როგორც მინდოდა და მეც ხან რა წაამომცდებოდა და ხან რა სალანძღავი, დასატუქსი. ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ სკოლის დირექტორებმა გამომიცხადეს, თქვენ ძალიან მკაცრი ხართ, ძალიან ეჩხუბებით ბავშვებს, რაღაც სიტყვებსაც ეუბნებით ისეთს, რაც მათ სწყინთ და ჩვენც გვწყინსო. მე ვუთხარი, მაშინ მიაქციეთ ყურადღება და ერთხელ რომ დავადგენთ, იმას მეორედ ნუ გამამეორებინებთ, თქვენც გაინძერით-მეთქი. მერე რომ დავფიქრდი, ვიფიქრე, რომ მოდი, თავს შევიკავებ და ხვალ ერთ სიტყვასაც არ ვიტყვი, ზედმეტს-მეთქი. მეორე დღეს გენერალური რეპეტიციაა. „მკითხველები ადგილზე“ — ვაცხადებ მიკროფონით. შენც არ მომიკვდე, არავინ იძვრის. გავიხედე, იქ რაღაც ლელვის ჩრდილია და იქ შემძვრალა ეს ოთხი მკითხველი და რაღაცას საუბრობს. აქ მე ასვატიანი დინამიკებით ვაცხადებ: „მკითხველები ადგილზე, პედაგოგებს, სკოლის დირექტორებს ვთხოვ, მოიყვანონ თავისი ბავშვები და დააყენონ ადგილზე“. არავინ იძვრის. ვყვირივარ კაი ათი წუთი. გადავირიე კინაღამ. ჰოდა, ბოლოს სახელი და გვარი ვთქვი იმ მონაწილე გოგონასი: ეხლა გამოძვერი მანდედან და დადექი შენს ადგილას, თორემ შეგაძვრენ...
— და გამახსენდა, გაფრთხილებული რომ ვიყავი და...
— შეგაძვრენ, მე რომ ვფიქრობ, იმაში-მეთქი. იმისთანა ხორხოცი ატყდა, დაიხოცნენ ბავშვები სიცილით. მოვიდა მერე სკოლის დირექტორი და მითხრა არა, არა, ისევ ჯობია, თქვენს სტიქიაში იყოთ, გაერთობიან ქე მაინც ბავშვები, და ისე, რა თქმა უნდა, ცოტა დამნაშავე ჩვენც ვართო.

იცით, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გამოვთქვა ჩემი სურვილი, იქნებ აღდგეს ეს ზეიმები საქართველოს ყველა კუთხეში. განახლდეს თვითმოქმედება, ისევ აიღონ ჩონგური, გიტარა, რომ ეს დუხჭირი ცხოვრება ცოტათი მაინც გავალამაზოთ. მე ვთხოვ მათ, ვისაც ეს ეხება, რომ მიაქციონ ამას ყურადღება. საქართველოში ტრადიციულად რა ზეიმებიც ტარდებოდა, ნახევარი თითქმის ჩვენი ეხლანდელი პრეზიდენტის დადგენილია, შესანიშნავად უძღვებოდა ამ საქმეს ახალგაზრდობის მაშინდელი ლიდერი ჟიული შარტავა. ჰოდა, ეხლაც იგივე კაცია პრეზიდენტი და არაფერი არ გვიშლის ხელს, რომ კვლავ აღდგეს ის ძველი ტრადიციები საქართველოში.

მოამზადა
ლელა კოდალაშვილმა



# უდანაშაულო მამა, უდანაშაულო შვილი!

მეორე გვერდიდან

ტორიულად. სწავლობდა სამხატვრო აკადემიაში. თანდათანობით გახდა აუტანელი, ვერ იტანდა უსამართლობას, იყო უფრო მეტად გულჩათხრობილი, მცირედ გაღიზიანებაზე ამტვრევდა საოჯახო ნივთებს. იჩენდა აგრესიულ გამოვლინებებს ირგვლივ მყოფთა მიმართ, კარგავდა წონასწორობას და არ ახსოვდა შემდეგ რას აკეთებდა, ორჯერ იქნა გასამართლებული ჩხუბზე. მიესაჯა პირობითი სასჯელი. 1961 წელს გატარებული იქნა ქალაქის ფსიქონევროლოგიური დისპანსერის საექსპერტო კომისიაზე. (ცნობა გაცემულია 16—I—64 წ. ისტორიაშია) .1963 წლის 13 სექტემბერს მოუვიდა მამიდასთან უსიამოვნება და მიაყენა სხეულის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება. სტაციონარული დაკვირვებით დადგინდა ფიზიკური მდგომარეობა: საშუალოზე მაღალი ტანის, სწორი აგებულების, კანი სუფთა ვარდისფერი. ძვალკუნთოვანი და შინაგანი ორგანოების მხრივ პათოლოგიური ცვლილებები არ აღენიშნება. ნევროლოგიურად: გუგები მრგვალი, რეაქცია სინათლეზე და აკომოდაციაზე წარმოებს ცოცხლად. აქვს მკვეთრად გამოხატული ტრემორი თვალის ქუთუთოსი და გაშლილი ხელის თითების რეფლექსები მყესთა და მყეს-ძვალთა ორმხრივ ძლიერ ცოცხალი. დემოგრაფიზმი წითელი მყარად გამოხატული. არტერიული სისხლის წნევა 110/70 ვასერმანის რეაქცია (ათაშანგზე) უარყოფითი. ფსიქიური მდგომარეობა: შეკითხვას პასუხობს დაჭიმული. გაღიზიანებული, კანკალებს მთელი სხეულით, მკვეთრად აღენიშნება ვეგეტარული ნერვული სისტემის აშლილობის მოვლენები; უწითლდება სახე, კიდურები, გულმკერდის მიდამო. ჩივის გამუდმებით თავის ტკივილს, არის უხალისოდ, ვერ იტანს უსამართლობას, ოდნავ სიტუაციის შეცვლასთან დაკავშირებით გამოდის წყობიდან, ძილი ცუდი. ორიენტირებულია ადგილში, დროში, გარემოში. ერკვევა სიტუაციაში, საკუთარ აზრებში. გონებრივი სფერო შეეფარდება მიღებულ გამოცდილებასა და ცოდნის დონეს. აღქმა საგნობრივი, სწორი. აღქმის პათოლოგია არ აღენიშნება. ასოციაციები თანმიმდევრული, გასაგები. საუბრის დროს ადვილად ღიზიანდება. ჩადენილი დანაშაულის მიმართ გვიდგენს ამნეზიას. „მახსოვს, რომ მივედი მამიდასთან დამიწყო ჩხუბი, შემდეგ რა მოხდა არ ვიცი, როგორ მივედი სახლში ისიც არ მახსოვს. ამის შესახებ დედაჩემმაც არაფერი იცოდა, გაიგ მაშინ როდესაც გამოცხადდა მილიციაში". ბოდვით აზრებს არ გამოთქვამს. ემოციურად აფექტიური იმპულსური, ადვილად აგზნებადი, წონასწორობიდან გამოსვლის შემდეგ უჭირს თავის შეკავება, ვერ უწევს კონტროლს თავის მოქმედებას. თვითგრძნობა ცუდი, უჩივის თავის ტკივილს, ქავილს და გამონაყარს მთელ ტანზე. გუნებაგანწყობა უხალისო. დაწეული ტონის. ზემო აღნიშნულიდან კომისია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კიტოვანი თენგიზი კალისტრატეს ძე წარმოადგენს ღრმა ფსიქოპათიურ პიროვნებას იმპულსური წრის, მიდრეკილებით აფექტიური განტვირთვების და აუტოტრავმებისადმი. შერაცხადობა უნდა გადაწყდეს სასამართლო პროცესზე ექსპერტ ექიმის დასწრებით.

კომისიის თავ-რე

ქალაქის ფსიქონევროლოგიური საავადმყოფოს მთავარი ექიმი: მარგველაშვილი (ხელმოწერილია).

გადაწყდა, გადაწყდა ბატიას შეურაცხადობა! სასამართლომაც გაიზიარა ექიმების აზრი და ერთმნიშვნელოვანი განჩინებაც გამოიტანა:

„კიტოვანი არის ფსიქოპათიური პიროვნება, აფექტური წრის მიდრეკილებით, დანაშაულის ჩადენის მომენტში იმყოფებოდა შეურაცხად მდგომარეობაში, ამჟამად კი საზოგადოებრივად საშიშროებას არ წარმოადგენს და უნდა ჩაბარდეს მშობლების მეურვეობაში და დაენიშნოს ფსიქიატრის მუდმივი მეთვალყურეობა"...

ვაი, შენ ჩემ თავმკვდარო ბატია, ვაი შენ და ვაი იმ ფსიქიატრებს, რომლებმაც ბოლომდე ვერ მიიყვანეს შენი მკურნალობა და მეთვალყურეობა, თორემ ახლა თავში სარტყმელად არც შენ გექნებოდა საქმე და არც ჩვენ! ბატია! ცოტათი კიდევ წამოვწიოთ ფარდა და შევუდგეთ შემდეგი წერილის კითხვას, რომელსაც ერქმევა — აბა გამოიცანი რა? რა და —

„ლენინი და ბატია!"

აბა, ჰე! არ მოიწყინო. იმ ავარიამდე ჯერ კიდევ სხვა ამბებია გასახსენებელი შენი დიდი „პოლიტიკური და დისიდენტური" მოღვაწეობიდან!

**თეიმურაზ კვირკველია**

გაგრძელება იქნება

# «ჯავახკას» სომხური, ანტიქართული, აგრესიული შოვინიზმი და ა.შახატუნიანის «მეცნიერული აღმოჩენები»

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მეხუთე გვერდიდან)

სტატუსის აგრარული რაიონი, რომელიც ერევნის გუბერნიის გუმბრის მაზრას შეუერთდებოდა. ამასთან ვ.ვართანიანცი, ა.სააკოვა და ხ.ვერმიშევი „ამტკიცებდნენ", რომ ვითომც ზაქათალის მაზრას, რომელიც ამ დროს თბილისის გუბერნიაში შედიოდა, არაფერი საერთო არ აქვს მასთანო და უსინდისოდ მოითხოვდნენ ბაქოს გუბერნიასთან მიერთებას.

სომხების ამ ანტიქართულ გეგმასთან დაკავშირებით გაზეთი „საქართველო" წერდა: „დოლუხანოვ-ხატისოვები, ვერმიშევ-ფარალოგები. და ყველა, საკმაოდ ცნობილი აგრესიული შოვინიზმის წარმომადგენელნი, ნიანგის ცრემლებსა ღვრიან ქართველი დემოკრატიის ბედისათვის, შინაურობაში დიდი ანტიდემოკრატები, გუდამაყრელ და გორელ გლეხს „დემოკრატიულად" მოწყობას უპირებენ. ეს „მანევრი" ჩვენთვის ახალი არ არის. აგერ რამდენი ხანია სომხის აგრესიულ იდეოლოგია ამ გზას ადგია. ლიბ რალიზმისა და დემოკრატიზმის ქურქში გახვეული შეუპოვრად დანავარდობს ქართველი ხალხის მკერდზე. იშვიათად, თუ რომელიმე სახელმწიფოს ასე ნაყოფიერად ესარგებლოს რაიმე დიპლომატიური ხერხით, როგორც ისარგებლა ჩვენში სომხობამ ასეთი ტაქტიკით. დიდი ქონებრივი მონაგარი მრავალი მოკავშირე — მოაზროვნე ლვიძლი ერის ინტერესებზე ჯიგარაყრილი! მართლაც, რომ იშვიათი ჯილდოა! ამისათვის, დემოკრატიზმისა კი არა, ეშმაკის ქურქის წამოსხმაც შეიძლებოდა"" (იხ. „საქართველო", 19.ა, 7 მაისი).

„საქართველომ" თავისი შეურიგებელი და პრინციპული პოზიცია კიდევ უფრო ნათლად ჩამოაყალიბა 1916 წლის 16 მაისს. გაზეთი სამართლიანად მიუთითებდა, რომ „სომხობა ჩვენში იბრძვის არა როგორც შინაური ძალა, არა როგორც ლვიძლი წევრი იმ ორგანიზმისა და იმ ქვეყნისა. რომელსაც საქართველო ეწოდება, არამედ როგორც ძალა გარეშე, შემოჭრილი ჩვენში თავისი საკუთარი პოლიტიკური ზრახვებით, თავისი საკუთარი ინტერესებით და ეროვნული გეგმით".

რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაშნაკები და შოვინისტური სომეხი ინტელიგენცია კვლავაც მოითხოვდნენ ამიერკავკასიის უსაფუძვლო, ვითომდა სამართლიან ტერიტორიულ გადანაწილებას. ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა მოიწვია ფათბირი ერთობების შემოლების თაობაზე. საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღო მხარის თითქმის ყველა პარტიისა და ეროვნების წარმომადგენელმა. თათბირზე და შემდეგ თათბირის მიერ სპეციალურად შექმნილ კომისიაზე სომხებმა წარმოადგინეს ამიერკავკასიის გადანაწილების ფაქტობრივად სომხთა ძველი პროექტი. სომხები დაჟინებით მოითხოვდნენ თბილისის გუბერნიიდან ახალქალაქის მაზრისა და ბორჩალოს მაზრის ნაწილის (ლორე) გამოყოფასა და ერევნის გუბერნიის ალექსანდროპოლის მაზრასთან მიერთებას. კომისიამ ვერავითარ შეთანხმებას ვერ მიაღწია და მხარის გადანაწილების საკითხიც ამოიწურა. მაგრამ სომხთა ეროვნულმა ყრილობამ მოიწონა და სამოქმედოდ მიიღო ზემოთ აღნიშნული ე.წ. ახალი პროექტი.

საერობო თვითმმართველობის იდეის გავრცელებასთან დაკავშირებით ულტრაშოვინისტ სომეხთა ამ „ახალი" პროექტის უხეირო დაცვასა და შემდგომ განვითარებას ისახავდა მიზნად 1918 წლის დასაწყისში თბილისში რუსულ ენაზე ბიბლიოთეკა „არაჩის" სერიით გამოქვეყნებული დაშნაკცუთიუნის პარტიის წევრის, ვინმე ა.შახატუნიანის 206 გვერდიანი ე.წ. ნაშრომი — „Административный передель Закавказского края", რომლის ანტიქართული შენიღბული მიმართულება საინტერესო სტატისტიკური მასალის მეცნიერული ანალიზით ივანე ჯავახიშვილმა მკაცრად გააკრიტიკა 1919 წელს გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში: „საქართველოს საზღვრები. ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული".

იმასთან დაკავშირებით, რომ ა.შახატუნიანის მთელი რიგი მოსაზრებები თითქმის მთლიანად ემთხვევა ჯავახეთის რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებისა და მოძრაობების საკოორდინაციო საბჭოს საერთოდ და კერძოდ ახალქალაქის დაშნაკური ექსტრემისტული ორგანიზაციის „ჯავახკას" უსაფუძვლო მოთხოვნებს, უფრო ვრცლად შევჩერდებით მასზე. მით უმეტეს, რომ იგი ივანე ჯავახიშვილის შემდეგ არავის არ გახსენებია და ქართული ისტორიოგრაფია მას არ იცნობს. „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" რვატომეულში (ტომი მეექვსე) არა თუ გაკრიტიკებული, არამედ ნახსენებიც კი არ არის.

ა.შახატუნიანი თავის „გამოკვლევაში" განიხილავს ისეთ პრობლემებს, როგორიცაა: ადგილობრივი პირობების საკითხი, ამიერკავკასიის ცალკეული ქვეყნები, ამიერკავკასიის სამი ქვეყნის ეკონომიკური კონტრასტები, ამიერკავკასიის ადმინისტრაციული დაყოფის ისტორიისათვის, ეროვნული პირობები და ადმინისტრაციული დაყოფის პროექტი, სამეურნეო პირობები და ადმინისტრაციული დაყოფის პროექტი.

ა.შახატუნიანის ფარისევლობა და სიცრუე აშკარად ჩანს „ნაშრომის" ანოტაციაშივე. მასში ნათქვამია, რომ საერობო მმართველობის ადმინისტრაციული გადანაწილება, ისევე როგორც პოლიტიკური ავტონომიისათვის ეროვნულ-ტერიტორიული გამიჯვნა, ეფუძნება, აგრეთვე ბუნებრივ-გეოგრაფიული ხასიათის ფაქტებს. ავტორმა ეს ფაქტები განიხილა განსახორციელებელი რეფორმების პოლიტიკური ხასიათისაგან სრულიად დამოუკიდებლადო (ტექსტში ხაზგასმა აქ და შემდეგ ყველგან ჩვენ — შ.თ.). მისი ნაშრომი კი პირიქით. სწორედ რომ პოლიტიკური და სომხური შოვინისტური მიმართულებისაა.

გაგრძელება იქნება

**შოთა თეთვაძე**

გაზეთ „საქართველოს" რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს
**თემურ ფიფიას**
გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს



**თარაზულად:** 8. თემთა პალატის თავმჯდომარე ინგლისის პარლამენტში; 9. ამა თუ იმ ენის ბგერათა უნებური დამახინჯება; 10. მერყეობა, ორჭოფობა; 11. სპილენძისა და თუთიის შენადნობი; 12. სხვის ნებისყოფაზე ზემოქმედება, ჰიპნოზი; 13. ხერხის სახეობა; 14. საკვები პროდუქტი; 17. დროსტარება, ნადიმი; 20. ბორის წიფურიას კინოპერსონაჟი (მეწისქვილე) ფილმში „დათა თუთაშხია"; 22. დიდი ფილმის ნაწილი; 26. „ფლეიბოის" სუპერმოდელი; 28. გენერალი, ჩინეთის რესპუბლიკის (იჩქერიის) შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის უფროსი; 31.ქუთაისის უბანი; 32. ქალაქი აშშ-ში; 33. საშუალო სასწავლებელი საფრანგეთისა და დასავლეთ ევროპის ზოგ სხვა ქვეყანაში; 34. ლეგენდარული სპარტელი კანონმდებელი

**შვეულად:** 1. ვისიმე სახელის ან დაბადების დღე; 2. ღვიძლის დაავადება; 3. მონაწილე ფილმისა „ნათლიმამა"; 4. პერპენდიკულარი ანუ... 5. მედიცინას თუ დავუჯერებთ, საუკეთესო წამალი ჯანმრთელობისათვის... 6. მოწყობილობა ჩვილისათვის სიარულის სასწავლებლად; 7. შუა საუკუნეების ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი კერა (მონასტერი) ახლანდელ თურქეთში; 15. გაოცების, გაბრაზების გამომხატველი შორისდებული ძველ ქართულში; 16. ჩასაძრომი ჭრილი (სცენაზე, გემბანზე); ·18. ჰოლანდიელი მოჭადრაკე, მსოფლიოს ჩემპიონი 1935-37 წლებში; 19. მტკიცე პირობა, აღთქმა; 21. უაზრობა, სისულე (უცხოური შესატყვისი); 23. ნ. გოგოლის ნაწარმოები; 24. ქართული კონიაკი; 25 საფრანგეთის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე (XX საუკ. I ნახევარი); 27.დრეკადი მასალა; 29. ყველაფრისადმი გულგრილობა; 30. ადგილი მდინარეში, სადაც წყალი ტრიალებს.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 5. შამქორი; 7. შველერი; 9. გაზონი; 10. გრუშე; 12. ღლავი; 14. აკრი; 15. ეთიკა; 17. უჯრა; 18. პრემიერი; 21. პოზიტივი; 25. ფიფქი; 26. ანდაზა; 27 უფროსი; 28. ატამი; 29. ბარისახო; 32. ეპიტაფია; 35. ოქმი; 36. კინწი; 37. ლორე; 39. „ატილა"; 41. აბაშა; 42. ბოხოხი; 43. ამჯერად; 44. ინდიელი;

შვეულად: 1. ეშერა; 2. ბრაგე; 3. ხვიჩა; 4. ყინვა; 6. ქვეითი; 8. ლაღუმი; 11. უკვე; 13. არსი; 15. ეპიდიასკოპი; 16. კოპენჰაგენი; 19. რეკლამა; 20. ეიფორია; 22. ზღაპარი; 23. ტიალი; 24. ვარდენი; 25. ფლუსი; 30. როქი; 31. სიიაფე; 33. ტალახი; 34. ფარა; 35. ოტია; 36. კაბა; 38. ეშხი; 40. შინ.



**ბონდო ზურებიანის ხსოვნას**

**შავად** გაგითენდა აგვისტო, ბონდო! ეს რა უცნაური ბედი გხვდა წილად? ველარაფრით ვერ დავიჯერებთ, რომ შენ ჩვენს გვერდით აღარ იქნები. როგორ გვიმძიმს უშენობა, რა იქნა შენი მფარველი ანგელოზი, რად გაგიმეტა?

რითი ვანუგეშოთ დედაშენი, რა ვუთხრათ შენს დას — ბაიას, ძმებს? შენი ბედნიერი ოჯახი ცრემლითა და სევდით აივსო.

ახალგაზრდა, ჯანმაგარ ვაჟკაცს უეცრად მოგერია ავადმყოფობა. ნაადრევად გასრულდა შენი ლამაზი სიცოცხლე. ღმერთმა მხოლოდ 32 წელი გაჩუქა.

სულმოუთქმელად ველოდით შენს ჩამოსვლას მულახში, რათა ერთად გაგვეზიარებინა შენი დაოჯახებით გამოწვეული სიხარული.

ძნელია, ძნელი უშენობა, ბონდო! შენ ყოველთვის ჩვენს გვერდით იქნები. შენმა უდროოდ წასვლამ გაუყუჩებელი ტკივილი დაგვიტოვა.

მეგობრების სახელით

ნანა ჩეგიანი

მთავარი რედაქტორი
ნოდარ ბრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი:
93-20-36,
პასუხისმგებელი მდივანი:
93-18-41